სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 ნოემბერი 2005 №275 (2598) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ნაკრები ბევრ არამწვრთნელს გაუწვრთნია

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

2

უბრალოდ რონალდინიო

ინტერვიუ ოქროს ბურთის ლაურეატთან

8

ახალკაცის ხურჯინი: მწვრთნელი თუ ჯინი?

თხუთმეტწლიან ისტორიაში უკვე მეთოთხმეტედ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ადგილი ვაკანტურია — ვინ გაუძღვება ნაკრებს მომდევნო ორ შესარჩევ ციკლში? კანდიდატთა რაოდენობამ შვიდს უწია, თუმცა მიმატება-გამოკლებით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ესეც თქვა და სხვაც:

...კლაუს ტოპმიოლერი, სრეჩკო კატანეცი, ბენიტო ფლორო, ბორა მილუტინოვიჩი, იოჰან ნეესკენსი, ფრანსისკო მატურანა, კარლოს ბილარდო — კანდიდატთა სიას ესენი ლიდერობენ. მათი გაცხრილვა-დაწურვა უახლოეს დღეებში დაიწყება და ამ სიას შესაძლოა გამოაკლდეს ან მიემატოს ვინმე. შევეცდებით, სასურველი მწვრთნელები საქართველოში ჩამოვიყვანოთ მოსალაპარაკებლად.

...შერჩევა მოხდება ფასისა და ხარისხის ოპტიმალური კომბინაციით. რა თანხაა მწვრთნელისთვის გამოყოფილი, ჯერ არ ვიცით.

...ჩვენ გვინდა, ახალ მწვრთნელთან ორ შესარჩევ ციკლში ვითანამშრომლოთ.

...ახალი მწვრთნელისთვის ნაკრების გაახალგაზრდავება მიუღებელი კი არა, მისასალმებელიც კი უნდა იყოს.



მთავარი გასარჩევი საქმე საქართველოში: რატომაა მთავარი საქმის გარჩევა საქართველოში?

კალათბურთი კი გვაქვს მდარე, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი აყალმაყალის მოწყობა გვეხერხება, მტერს გაუხარდება! მოედანი ლამის სკოლისუკანა „მოყუჩებულ“ ალაგად ვაქციოთ. ერთმანეთზე იწევენ დიდები და პატარები, ძლიერები და სუსტები, ამბიციურები და უამბიციოები... ჩხუბი, ღრიალი, გინება, მოკლედ, არის რია-რია! ტური არ ჩაივლის ამ დომხალის გარეშე. გუშინდელი ოთხი მატჩიდან ამგვარმა სცენებმა ორი „გაალამაზა“. რუსთავში „აზოტისა“ და „თსუ-ნიკორას“ შეხვედრის ბოლო 20 წამი 15 წუთამდე გაიწელა, ვერის ბაღში კი სსუ-სა და „ქუთაისის“ თამაში რამდენჯერმე შეწყდა სართულებიანი გინების გამო

ჩვენი ნაკრები ბევრ არამწვრთნელს გაუწვრთნია

გვაცხოვრეთ საქართველოში აზრიანად

ამბობს ზურაბ ხიზანიშვილი

ადრეც გაუწყეთ, რომ 24 წლის ზურაბ ხიზანიშვილს „ბლექბერნმა“ კონტრაქტი შესთავაზა — ზურა „ბლექბერნში“ „რეინჯერსმა“ გაანათხოვრა ერთი სეზონით, ანუ ხიზანიშვილი კვლავ შოტლანდიური კლუბის საკუთრებაა, რომელსაც კონტრაქტით 2008 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის. მაგრამ „ბლექბერნის“ უელსელ მენეჯერ მარკ ჰიუზს ჩვენებურის „რეინჯერსში“ დაბრუნება არ უნდა და „ბლექბერნი“ მზადაა, ხიზანიშვილი გამოისყიდოს.

„ბლექბერნელებმა მართლაც შემომთავაზეს კონტრაქტი, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცი, თანახმაა თუ არა „რეინჯერსი“ გამასხვისოს, მაგრამ რადგან გამანათხოვრა, ალბათ, „ბლექბერნის“ მორიგ წინადადებასაც დათანხმდება“ — გვითხრა ხიზანიშვილმა, ვისაც გუშინ შევეხმიანეთ ალბიონზე.

როგორც შევიტყვეთ, ხიზანიშვილით „ბლექბერნზე“ სახელიანი გუნდებიც არიან დაინტერესებულნი, თუმცა ზურა ამ გუნდებს ჯერ არ ასახელებს. როგორც თვითონ გვითხრა, „ბლექბერნს“ მისთვის ჯერ არ შეუთავაზებია ახალი პირობები და შესაძლო კონტრაქტის ხანგრძლივობაც, თუმც ზურას ვარაუდით, „ბლექბერნი“ მის სამ ან ოთხწლიან კონტრაქტზე დაყაბულებას შეეცდება.

„ჩემი სამომავლო ურთიერთობა „ბლექბერნთან“ დეკემბრის ბოლოს ან იანვარში გაირკვევა, სატრანსფერო ფანჯრის დროს და ალბათ მაშინ ჩამოვა აქ ჩემი აგენტი ივან ბენეშიც“ — გვამცნო ხიზანიშვილმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ „ბლექბერნი“ მას მიმზიდველ კონტრაქტს შესთავაზებს.

...ხიზანიშვილი ეროვნული ნაკრებისთვისაც ძალიან ფასეული ფეხბურთელია. საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს დაცვის ჩამოყალიბებული ლიდერი და ასეთი ფუნქციის შესრულება ყველაზე უფრო სწორედ ხიზანიშვილს შეუძლია. ეს არის მხოლოდ პირადი აზრი, რადგან ზურა მაღალ დონეზე მოთამაშე ერთადერთი ქართველი მცველია, ვისაც შეუძლია, მეტოქის განზრახვა ორი-სამი სვლით ადრე წაიკითხოს, ორთაბრძოლების გარდა ინტელექტუალური თამაშითაც გამოირჩეს.

მაგრამ ეღირსება კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ინტელექტუალი მწვრთნელი? ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოს ნაკრები უნდა გაწვრთნას პედანტმა გერმანელმა ან მყვირალა ჰოლანდიელმა; იქნებ სამხრეთული მენტალიტეტის მწვრთნელი სჯობს? იქნებ ფრანგი ან იუგოსლავიელი? ეს ყველაფერი ალბათ ზედაპირული, „ბალელშიკური“ ხლართებია, ყოველ შემთხვევაში, ზურას ამაზე სულ სხვა აზრი აქვს.

„მთავარია, მწვრთნელი იყოს მწვრთნელი და არა სხვა რამ. საქართველოს ნაკრები ბევრ ისეთს გაუწვრთნია, ვინც მწვრთნელი არ ყოფილა. დანიშნავენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს და მასზე იტყვიან, რა კარგი სპეციალისტია, რა მაგარი დისციპლინა დაამყარა გუნდშიო, მაგრამ ორი-სამი თამაშის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ასე არ არის — გვითხრა ხიზანიშვილმა და მერე უფრო ვრცლად განგვიმარტა ყველაფერი — მწვრთნელი უნდა იყოს გუნდის ლიდერი, ფეხბურთელებს მისი კი არ უნდა ეშინოდეთ, არამედ, რიდი უნდა ჰქონდეთ. მწვრთნელმა ნაკრებში დისციპლინა თავისი ავტორიტეტით და ფეხბურთელებისადმი მიდგომის უნარით უნდა დაამყაროს“.

ინგლისურ პრემიერლიგაში და „რეინჯერსში“ ნათამაშევმა ხიზანიშვილმა მწვრთნელის ყადრი არ იცისო, ვერავინ იტყვის და ამბობს კიდეც: „როგორც ფეხბურთელი, ბრიტანეთში აზრიანად ვცხოვრობ, რადგან ვიცი, რას ვაკეთებ, ფეხბურთელის ცხოვრებას მწვრთნელი აყალიბებს და ასე უნდა იყოს საქართველოს ნაკრებშიც, უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ“.

დავით თავართქილაძე

ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXI ტური

აუსტრია (ლ) 0:0 გრატკორნი
აუსტრია (მ) 4:0 კუფშტაინი
ლინცერი 3:0 ალტახი
შვაინშტადტი 0:2 კაპფენბერგი
ლეობენი — კერნტენი გადაიდო

ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი

ვიტესი 4:2 ვალვაიკი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ეინდჰოვენი 1:2 ოსი

შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

სენტ მირენი 1:1 ერდრი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ეარი — ფორფარი გადაიდო

ინგლისი

ლიგის თასი
მერვედფინალი

არსენალი 3:0 რედინგი
დონკასტერი 3:0 ასტონ ვილა
მილუოლი 2:2დ.დ.(პენ.3:4, 1:1) ბირმინგემი

LDV VANS TROPHY
მეთექვსმეტედფინალი

ჰალიფაქსი — სკანთორპი გადაიდო

პოლონეთი

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

პლოცკი 1:0 კუიავიაკი
პოლონია 2:3 იაგელონია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

ოდრა 0:0 ლეხი (0:1)

იტალია

თასის 1/16 ფინალი. I მატჩი

მილანი 3:1 ბრეშა

1:0 რუი კოშტა (26), 2:0 ჟილარდინო (40), 2:1 სტანკევიჩიუსი (47), 3:1 ვიერი (69)
მილანი: კალაჩი, მარცორატი, შიმიჩი, კოსტაკურტა (სტამი 77), კალაძე, გატუზო (პირლო 46), ფოგელი, იანკულოვსკი, რუი კოშტა, ჟილარდინო (არდემანი 64), ვიერი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა 17
პირველი წრე

17 ტური

დინამო 2 0:0 ამერი 2
ზესტაფონი 2 1:0 მესხეთი
მერანი 2:0 მეშაქრე
გაგრა 1:0 რუსთავი
ვიტ ჯორჯია 2 1:1 გურია
თბილისი 2 1:1 მაღაროელი
ჩიხურა 3:1 ზუგდიდი
ლიახვი 2:1 მეშახტე

დღეს

საგარეჯო — ლოკომოტივი 2

ჩიხურა	17	13	2	2	52:20	41
მერანი	17	12	3	2	28:10	39
ამერი 2	17	10	2	5	25:14	32
დინამო 2	17	9	4	4	27:11	31
მეშაქრე	17	9	3	5	28:16	30
გაგრა	16	8	5	3	21:13	29
რუსთავი	17	8	4	5	28:19	28
გურია	17	7	4	6	27:20	25
მესხეთი	17	7	4	6	23:20	25
მეშახტე	17	6	6	5	19:12	24
საგარეჯო	16	6	3	7	16:16	21
ვიტ ჯორჯია 2	17	5	4	8	14:20	19
ზუგდიდი	17	5	4	8	8:16	19
თბილისი 2	17	4	4	9	18:30	16
ზესტაფონი 2	16	5	0	11	14:30	15
ლოკომოტივი 2	16	4	1	11	13:33	13
ლიახვი	17	3	0	14	15:46	9
მაღაროელი	17	2	3	12	11:40	9

საგაისო თადარიგი

პარასკევი დაწყვილებისა

ქართულ ფეხბურთში ახლა საშუასეზონო შესვენებაა, თუმც პარასკევს, 2 დეკემბერს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალ ოფისში ღონისძიებაა — დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეოთხედფინალების წილისყრა გაიმართება.

მეოთხედფინალური მატჩები გაისად ჩატარდება და უკვე ცნობილია პირველი მატჩების სავარაუდო თარიღი — 16 ან 17 თებერვალი.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური კი სავარაუდოდ 22-23 თებერვალს გაიმართება.

ლუკა თალაკვაძე



ჯაკობია გადამწვარა

რა უქნეს ნაკრებში ლაშას?

ლაშა ჯაკობია ხარკოვის „მეტალისტის“ კაპიტანი და ლიდერია, ჰოდა, ბუნებრივია, დაგვაინტერესა, რატომ არ ითამაშა მან კრივოი როგის „კრივბასთან“ უკრაინის ჩემპიონატის წინა ტურში.

„მეტალისტის“ მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა ასე თქვა: „ხანაკრებო თამაშების შემდეგ ლაშა თავის თავს არ ჰგავს. არ ვიცი, რა უქნეს მას საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა — ფაქტია, ჯაკობია ფიზიკურად ვერ გრძნობს თავს კარგად. იმედია, მომდევნო თამაშში ის მოასწრებს ძალების აღდგენას“.

მართლაც, რა უქნეს მწვრთნელებმა ჯაკობიას? როგორც გაიოზ დარსაძემ თქვა, ნაკრები ხომ ბულგარეთთან და იორდანიასთან ფიზიკურად მშვენივრად იყო მომზადებული...

ლუკა თალაკვაძე

ფედერაციაში მწვრთნელებს წურავენ

მწვრთნელი, მწვრთნელი!!! ლამის დღე არ გადის, საქართველოს ნაკრების თავკაცობის ახალი კანდიდატი არ გამოჩნდეს. ზოგი მათგანი საფეხბურთო საზოგადოებას, ქომაგებს მოსწონთ, ზოგ ზე უსიამოვნოდ ლაპარაკობენ, ზოგ ზეც ქირქილებენ...

„ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, თებერვლამდე ნაკრებს მწვრთნელი დავუნიშნოთ, რათა მალტის ტურნირზე იგი გაუძღვეს გუნდს“ — თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, რომელიც გერმანიასა და შვეიცარიაში იყო ვიზიტით და უეფას მესვეურებთან შეხვედრის გარდა, ცხადია, უპირველესად შესაძლო მწვრთნელზე ველოდით ინფორმაციას...

ახალკაცის გარდა ჟურნალისტებთან ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები — რევაზ არველაძე, გოგი ქავთარაძე, დიმიტრი რამიშვილი და გენმდივანი გრიგოლ ცაავა წარდგნენ...

გოგი ქავთარაძე

ნოდარ ახალკაცი

რევაზ არველაძე

ვინ არიან კანდიდატები? გოგი ქავთარაძეს ისეთი გვარი არ დაუსახელებია, რომელიც აქამდე არ გაგვეგო, თუმცა...

„მწვრთნელების გაფართოებული სია გვაქვს, ნელ-ნელა მათი რიცხვი შევამცირეთ და კონკრეტულ მოლაპარაკებებზე გადავდივართ. სიას „ლიდერობენ“ კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც, ალბათ, მალე ჩამოვა საქართველოში; სრეჩკო კატანეცი, რომელიც პარალელურად საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციასთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას; ბორა მილუტინოვიჩი, რომელიც მეექვსედაც აპირებს მუნდიალზე რომელიმე ნაკრების გაწვრთნას და ჩვენთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა; იოჰან ნეესკენი და ბენიტო ფლორო“.

ქავთარაძემ აღნიშნა, რომ ფედერაცია მწვრთნელს ფასისა და ხარისხის ოპტიმალური კომბინაციის შედეგად შეარჩევს. რევაზ არველაძემ კი თქვა, ყველანაირად ვეცდებით, სასურველი მწვრთნელები საქართველოში ჩამოვიყვანოთ მოლაპარაკებებისთვისო.

„დაახლოებით ათ დღეში ამ სიის გაცხრილვას დავიწყებთ და საუკეთესოს შევარჩევთ. შესაძლოა, რამდენიმე დღეში დავაკონკრეტოთ, რომელი მწვრთნელი როდის ჩამოვა მოსალაპარაკებლად. შობამდე ეს მოხერხდება“ — გვითხრა არველაძემ.

ამის შემდეგ ნოდარ ახალკაცმა ვრცლად ისაუბრა, რა კრიტერიუმებით, რა ფასად და რამდენწლიანი კონტრაქტით იქნება უპრიანი მწვრთნელის ჩამოყვანა, მანამდე კი ფედერაციის პირველკაცმა ქავთარაძის მიერ დასახელებულ ხუთ კანდიდატს ორიც მიამატა — კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანა და არგენტინელი კარლოს ბილარდო.

ნოდარ ახალკაცი: შესაძლოა, ამ სიას კიდევ მიემატოს ან გამოაკლდეს ვინმე. შერჩევის პროცესი ჩვეულებრივია: ჩვენ ყველა კანდიდატს გამოვათქმევინებთ აზრს, როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს ნაკრებში მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანია, მწვრთნელმა ჩვენი სახით სოლიდური პარტნიორი დაინახოს.

— ახალ მწვრთნელს სავარაუდოდ რამდენწლიან კონტრაქტს გაუფორმებთ?

— ეს მარტო ფედერაციაზე არაა დამოკიდებული. ჩვენ გვექნება საუბარი ქართული სპორტის მესვეურებთანაც. ოპტიმალური ვარიანტი იქნება ოთხწლიანი კონტრაქტი, ანუ ორი შესარჩევი ციკლი.

— რა თანხაა გამოყოფილი მწვრთნელისთვის და ახალ სპონსორებზე თუ ისმის რამე?

— თანხა ჯერ არ ვიცით. მარტო ფედერაციას არა აქვს შესაძლებლობა უცხოელი მწვრთნელის ჩამოსაყვანად. სახელმწიფოც დაინტერესებულია ამ საკითხით, და არა მარტო მწვრთნელით, მთლიანად საფეხბურთო მეურნეობის შეცვლით. სახელმწიფოს თავისი მწვრთნელ-ფავორიტი არ ჰყავს. ეს მათი გადასაწყვეტი არცაა, რადგან შერჩევა ჩვენი პრეროგატივაა, ჩვენ კი ოპტიმალურ ვარიანტს ვეძებთ. სპონსორების მხრივ სიახლე ჯერ არაა, დეკემბერში კი დავიწყებთ მოქმედებას. „კოკა კოლასთან“ გლობალური პარტნიორობა გვინდა, საამისოდ ყველაფერი შემზადებულია და იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა მრავალფეროვანი იქნება.

— ფედერაცია თუ მოითხოვს, რომ უცხოელმა მწვრთნელმა სამუშაო პერიოდი დიდწილად საქართველოში გაატაროს?

— კი, მწვრთნელი ძირითადად აქ უნდა იყოს, შეძლებისდაგვარად. და კიდევ: ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ უცხოელი მხოლოდ ნაკრებისთვის ჩამოვიყვანოთ — მან უნდა ჩაიხედოს ქართული ფეხბურთის მეურნეობაში და მისგან აქაურმა მწვრთნელებმაც უნდა ისწავლონ.

— ნაკრების გაახალგაზრდავებისკენ აიღეთ კურსი, ახალგაზრდები კი ეროვნული ჩემპიონატიდან მოდიან. პირველი წრე დასრულდა და როგორ შეაფასებთ მას მთლიანობაში, გაამართლა 16-გუნდიანმა სისტემამ?

— ამ ეტაპზე გაამართლა, თუმცა მშვენივრად ვიცი, რა დღეში არიან ქართული კლუბები. უეფას მიერ მოთხოვნილ კლუბების ლიცენზირების საკითხში ახალი ხელმძღვანელი გვყავს — ლალი ლობჟანიძე, რომელიც უკვე შეუდგა აქტიურ მუშაობას. შევეცდებით, გავამკაცროთ ლიცენზირების სისტემა, მაგრამ ჯერჯერობით ინფრასტრუქტურის მხრივ კლუბები მძიმე მდგომარეობაში არიან. 16-გუნდიანმა თუნდაც იმიტომ გაამართლა, რომ რეგიონებში მიეცათ კლუბებს წარმოჩენის შანსი, ხოლო ერთ-ერთი ლიდერი აუტსაიდერს რომ ხუთექვს გოლს გაუტანს, ამაში გასაკვირი არაფერია — ყველა გუნდი ერთი დონისა ვერ იქნება, ასეთი დიდი ანგარიშები სხვა ქვეყნების ჩემპიონატებშიც ხშირია.

...დეკემბერში აღმასკომის სხდომაზე შევაჯამებთ პირველ წრეს, პრობლემებზე ბევრია სალაპარაკო, თუმც სასიკეთო ძვრებიცაა — მაგალითად, ჩვენი ჩემპიონატიდან ეროვნულ ნაკრებში რომ ხვდებიან მოთამაშეები, ან უცხოური კლუბებიდან რომ ბრუნდებიან.

...აქვე ვიტყვი, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელისთვის გაახალგაზრდავების პროცესი მიუღებელი კი არა, პირიქით, მისასალმებელი უნდა იყოს. ნაკრებში წარმოჩენილ ახალგაზრდებს რატომღაც ეჭვის თვალით უყურებენ და ამბობენ, თითქოს ისინი ფსიქოლოგიურ წნეხში მოვაქციეთ. ასე არაა, მათ გამოცდილება მიიღეს და უკვე ნაკრების სრულფასოვან წევრებად ითვლებიან.

— რა შედეგს მოსთხოვთ ახალ მწვრთნელს?

— ჯერ რა შედეგი უნდა მოვთხოვოთ? მას დრო უნდა მიეცეს და ამიტომაც გვინდა ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება. უცხოელი მწვრთნელებისთვის საქართველო მაინც გამოცანად რჩება. ყურადსაღებია ის მომენტი, რომ მოედნები არ გვივარგა — დამიჯერეთ, ნაკრების წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ სად აგორებს ფეხბურთელი ბურთს.

...ისე, არიან ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებში ყველანაირად მომზადებული მოდიან კლუბებიდან და არიან ისეთებიც, რომლებსაც ამ მხრივ უჭირთ. ქართული ფეხბურთის სენია უბურთოდ თამაში — თუ ბურთი ათ მეტრში არაა, არ მოძრაობენ. ახალმა მწვრთნელმა შეთანხმებულად უნდა იმოქმედოს ასაკობრივ ნაკრებებთან, ყველანი ერთი სისტემით უნდა თამაშობდნენ, რათა 17, 19 ან 21-წლამდელთა ნაკრებიდან ეროვნულში გადასულმა ფეხბურთელმა იოლად აუღოს ალღო.

დასასრულ ნოდარ ახალკაცმა შვეიცარიული ვიზიტის სხვა საკითხებზეც გვითხრა, უეფაში სფფ-ს დიდ პატივს სცემენ და ამას თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთო... ამას წინათ ვწერდით და ბატონმა ნოდარმაც შეგვახსენა, რომ 4 დეკემბერს 1990 და 1991 წლებში დაბადებულ ბავშვთა დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს, თითოეულ გუნდში 22 ფეხბურთელი იქნება და ბავშვებს თავის გამოჩენის მშვენიერი შანსი ეძლევათო.

„თანაც, გაისიდან 1990 წელს დაბადებულებს 17-წლამდელთა ევროშესარჩევი ციკლი უწევთ. თუ კარგი ამინდი იქნება, დასავლეთ-აღმოსავლეთის ნაკრებების ორივე ასაკის ბავშვთა მატჩები ისნის „ოლიმპზე“ გაიმართება, თუ არა და „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში“ — თქვა სფფ-ის პრეზიდენტმა.

ილია ნანობაშვილი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

15 ტური მიმოხილვა

პირველი წრის ბოლო მეთხუთმეტედი

შემოდგომის ჩემპიონი ზღვამ დაასველა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. სამ დღეზე გადაჭიმული მე-15 ტური ბოლო იყო, 2005 წელს ქართულ გუნდებს მოედნები რომ გაათელინა. ჩვენც ამ ტურის გამორჩეულ ამბებზე ვთქვათ...

„სპარტაკთან" მატჩში ლოკომოტიველმა როინ ონიანმა (№2) პირველი წრის ბოლო გოლი გაიტანა

მთავარი სენსაცია „ვიტ ჯორჯიას" წაფორხილება იყო. მართალია, „ბათუმი" არც ისე დაჩაჩანაკებულია, უეჭველ წაგებას რომ ვუწინასწარმეტყველებდით, მაგრამ ვიტელთა ბოლოდროინდელი თამაში სხვა გზას არ გვიტოვებდა. ჩემპიონატის ლიდერი „შემოდგომის ჩემპიონი" ამ 0:0-ითაც გახდა, თუმც საკითხავია, როდის აკბენინებს თითზე „ბათუმთან" დაკარგული ქულები.

მასპინძლებმა მეტოქეს ბევრი ვერაფერი დააკლეს, ვერც მათი სხარტი შეტევები ვნახეთ და ვერც ოთარ მარცვალაძემ გაიელვა ჩვეულად. თუმცა შანსი მაინც ჰქონდათ — გუნდის კაპიტანმა დავით დილმელაშვილმა ბოლო წუთზე პენალტი გააცუდა.

„ვიტ ჯორჯიას" ფრემ ბოლნისი აახმაურა. „სიონმა" ქუთაისის „ტორპედოს" 3:1 მოუგო და, როცა ნამატჩევს ვიტელთა ამბავი გაიგეს, „ალამ და ფანობამ" ისეთი ყიჟინი დასცეს, ხმა ალბათ „ბათუმსაც" დააწიეს გზაში მადლობის ნიშნად...

„დინამომ" ცალი ფეხით აჯობა „სოხუმს" და ამაში გასაკვირი არაფერია. კახა ცხადაძის ბიჭებმა ბლომად მომენტი შემქნეს და მათგან ოდენ ოთხი გამოიყენეს. ნამატჩევს კი სოხუმელთა თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა შვებით ამოისუნთქა, როგორც იქნა, პირველი წრე დამთავრდაო. ასეა, ზოგს რა უჭირს და ზოგს რა ულხინს, რას გაიგებ...

აი, მაგალითად, გორის „დილამ" ჩემპიონატის დაწყების მერე ხელფასი რა არის, არ იცის, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, თუ აგებს, „დამსახურებულად". როგორ არ გვიყვარს ქართველებს ეს სიტყვა — „დამსახურებულად წაგება" — მაგრამ რა ვქნათ, აბა, რა დავარქვათ გაძვალტყავებული გორელების მაძლარ „ბორჯომთან" 3:4 მარცხს? მით უმეტეს, „დილა" ორჯერ იგებდა...

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ტურში ფოთის „კოლხეთმა" სტუმრად მოიგო. ასეთ იშვიათობას კოლხებმა „ცხინვალთან" მოაბეს თავი და 3:1 იმარჯვეს...

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი ისანში დაფიქსირდა: ამბიციური „ამერი" ყმაწვილგუნდ „თბილისს" ესტუმრა და 0:0-ს დასჯერდა. ხოლო ვინ უფრო კმაყოფილი დარჩებოდა ამ შედეგით, სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს.

და ერთიც, „ზესტაფონმა" და „ლოკომოტივმა" ისე უშანსოდ მოუგეს „კახეთს" და „სპარტაკს", რომ...

დაისვენეთ, ბიჭებო!..

კახა შალამბერიძე

ვიტ ჯორჯია	15	11	3	1	33:10	36
სიონი	15	11	2	2	28:12	35
ლოკომოტივი	15	10	3	2	26:6	33
დინამო	15	10	2	3	25:7	32
ბორჯომი	15	10	0	5	29:15	30
ამერი	15	9	2	4	15:9	29
ზესტაფონი	15	8	3	4	18:11	27
ბათუმი	15	6	4	5	13:12	22
კოლხეთი	15	7	1	7	16:17	22
დილა	15	5	1	9	21:24	16
კახეთი	15	5	1	9	14:25	16
ტორპედო	15	3	4	8	10:17	13
ცხინვალი	15	3	3	9	10:26	12
სოხუმი	15	3	1	11	14:36	10
თბილისი	15	1	2	12	9:29	5
სპარტაკი	15	1	2	12	3:28	5

სიმბოლური ნაკრები

- ზურაბ იონანიძე — ზესტაფონი
- გიორგი მეგრელაძე — დინამო
- დავით სირაძე — ლოკომოტივი
- გიორგი ქუცურუა — სიონი
- კახა ალადაშვილი — დინამო
- თორნიკე აფციაური — ბორჯომი
- ისლომ ინომოვი — ლოკომოტივი
- გიორგი ფოფხაძე — თბილისი
- ირაკლი ვაშაკიძე — თბილისი
- ზურაბ დუმბაძე — ბათუმი
- ირაკლი იოთლაძე — ბათუმი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ბომბარდირები

14-მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
11-დვალი	სიონი
8-ქორიძე	ბორჯომი
მეგრელაძე	დინამო
7-ქუთათელაძე	კოლხეთი
იონანიძე	ზესტაფონი
6-დოლიძე	სიონი
ბობოხიძე	დინამო
დავითაშვილი	ამერი
ხანიშვილი	დილა

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ცენტრალური" ზესტაფონი	ზესტაფონი 4:0 კახეთი	8,5	7,0	8,0	7,8
„თამაზ სტეფანია" ბოლნისი	სიონი 3:1 ტორპედო	8,0	7,0	6,5	7,1
„ოლიმპი" თბილისი	თბილისი 0:0 ამერი	8,5	6,5	5,0	6,6
„ეროვნული" თბილისი	დინამო 4:0 სოხუმი	6,5	7,5	5,5	6,5
„ჯემალ ზეინკლიშვილი" ბორჯომი	ბორჯომი 4:3 დილა	6,5	6,5	5,0	6,0
„შევარდენი" თბილისი	სპარტაკი 0:6 ლოკომოტივი	6,0	6,0	3,0	5,0
„არმაზი" მცხეთა	ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი	6,0	6,5	2,0	4,8
„ქართლი" გორი	ცხინვალი 1:3 კოლხეთი	6,0	5,0	1,0	4,0

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel:
39 40 08,
93 16 08;
Fax:
94 33 80

AFP ლონდონიდან

დევიდ ბექემმა ბავშვობის ოცნება აიხდინა

ბრავო!

ბექემის საოცარი საქმე

დევიდ ბექემმა ლონდონში, „მილენიუმ დოუმის“ გვერდით, თავის ბავშვობის სახლთან ძალიან ახლოს ფეხბურთის აკადემია გახსნა. სანამ შეკრებილ ხალხს რამეს ეტყოდა, მადრიდის „რეალის“ 30 წლის ნახევარმცველმა იქაური სკოლის მოსწავლეებთან ტექნიკის გაკვეთილში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი გამოტყდა, რომ იმ უბნის ბავშვებისთვის ფეხბურთში გასაწავი ადგილის შექმნა მისი დიდი ხნის ოცნება იყო.

„დღეს, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო დღეა. ასეთი ამაყი იშვიათად ვყოფილვარ. როდესაც თავად გახლდით პატარა ბიჭი და მანჩესტერში, ბობი ჩარლტონის სკოლაში დავდიოდი, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებში თამაშზე ვოცნებობდი. მერე ეს ოცნება ავიხდინე და იმის საშუალებაც მომეცა, რომ დღევანდელ პატარებს შევუწყო ხელი ასეთივე ოცნების ახდენაში. მინდოდა შემექმნა ისეთი გარემო, სადაც ბავშვები ფეხბურთის თამაშს ისწავლიდნენ, მაგრამ, რაც უფრო მთავარია, გაერთობოდნენ“.

შემდეგ დევიდ ბექემმა კიდევ უფრო დააზუსტა, თუ რას ელის აკადემიისგან, რა ფუნქციას აკისრებს მას.

„აქ უმთავრესი საფეხბურთო განათლება იქნება. პრიორიტეტი იმას კი არ მიენიჭება, როგორ უნდა დაარტყა ბურთს ფეხი სწორად, არამედ, დიეტას და გაჯანსაღებას. აქ ბავშვებს მართლაც ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ და მე ბედნიერი ვარ, რომ ეს აკადემია ლონდონში, ჩემი ბავშვობის უბანში ავაშენე“.

დევიდ ბექემის ლონდონური აკადემია კი ერთი პატარა მინდორია. აქ ორი ასმეტრიანი მოედანია, ჭლუს საკლასო ოთახები, სპორტ-დარბაზები, გასახდელები და სასადილოები. აკადემიაში ივლიან რვიდან თხუთმეტ წლამდე ბიჭები და გოგონები, რომელთა რაოდენობა 15 ათასს გაუტოლდება და რაც ყველაზე მეტად ჭრის ყურს, მათგან 10 ათასი გადასახადისგან თავისუფალი იქნება. ბექემს სწამს, რომ ისინი უეინ რუნის მაგალითს მიბაძავენ და მომავალ რუნობას ამოიჭრიან გულში.

„უეინი საოცრად ნიჭიერი და კარგი ადამიანია, ის უკვე დიდი ფეხბურთელია — თქვა აკადემიის დამფუძნებელმა — მან 20 წლისამ მიაღწია ძალიან ბევრს და მომავალში კიდევ უფრო მეტს მიაღწევს. ჩვენ, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავედით, ხოლო არგენტინასთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვებამ საკუთარ ძალთა რწმენა შეგვმატა. ერთი სიტყვით, თუ ყველანი ჯანმრთელად ვიქნებით და ცოტა იღბალიც შეგვიწყობს ხელს, გერმანიაში შესაძლოა, ძალიან კარგი ამბები მოხდეს“.

ხოლო აკადემიის დირექტორი და რეალური ხელმძღვანელი იქნება ერიკ ჰარისონი, კაცი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ 18-წლამდელთა გუნდს ედგა სათავეში და თავის დროზე აღზარდა თავად ბექემი, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი და ძმები ნევილები.

პაპუნა კედია

ილტონს ჯიბე გამოუფხიკეს

სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ბრაზილიელი ლეგიონერი აილტონი კლუბმა 100 ათასი დოლარით დააჯარიმა. აილტონმა გასულ უქმეებზე, „სივასფორთან“ მატჩის 24-ე წუთზე მეტოქეს ფეხებშუა ფეხი ჩაარტყა და მსჯმა გააძევა.

„აილტონი, რომელმაც წითელი ბარათი მიიღო, 100 ათას დოლარს გადაიხდის“ — გაცხადებულია „ბეშიქთაშის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტამბოლური კლუბის მწვრთნელმა ჟან ტიგანამ თქვა: „არ ვიცი, რა მოხდა, რადგან ეპიზოდი არ დაშინახავს, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტებას არ ვაპირებ. ჩვენმა ფეხბურთელმა წითელი ბარათი თუ მიიღო, ალბათ დაიმსახურა“.

„ბეშიქთაშმა“ ნაკრების ფეხბურთელი კორაი ავჯიც დააჯარიმა 23 ათასი დოლარით, რაკი მან შეხვედრის მიწურულს მეორე ყვითელი ბარათი „აიკიდა“ და გააგდეს.

რომან თურქია

ბრაზილიელ აილტონს უხეშობა არ აპატიეს

მე თუ ვხარჯავ, შენ რას გიშლი

ინტერი იუვენტუსს დაეტაკა



ჯაჩინტო ფაკეტი

მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ იანვარში ანტონიო კასანოს შეძენას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ „რომას“ ვარსკვლავით „იუვენტუსი“ და „რეალიც“ არიან დაინტერესებულნი.

„ჩვენ მას სიამოვნებით მივიღებთ. ანტონიოს ყველა ის თვისება აქვს, რომელსაც ნებისმიერი კლუბი ისურვებდა. არ ვიცი, თავად იგი დაინტერესებულია თუ არა „ინტერით“, მაგრამ მის პროფესიონალიზმსა და მაღალ კლასში ეჭვის შეტანა სისულელეა. კასანო შესაშური ტექნიკის მქონე ფეხბურთელია, რომელიც ძალიან წაგვადგებოდა, მაგრამ ყველაფერი ჩვენ პატრონზე, მასიმო მორატიზეა დამოკიდებული“ — აღნიშნა რობერტო მანჩინიმ, „ნეროაძურის“ მთავარმა მწვრთნელმა.

რომაელთა 24 წლის ვარსკვლავი, ალბათ, იანვარში დაახლოებით 20 მილიონ გირვანქად გაიყიდება. ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქელები მას ახლა ასე აფასებენ.

ახლა „ინტერის“ სხვა სამიზნეებზეც ვთქვათ. ის, პირველ რიგში, „სამპდორიას“ ლიდერი სერჯო ვოლპია — გენუელთა ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება და 31 წლის ფეხბურთელი რომელიმე გრანდში გადასვლის იმედით ახალი შეთანხმების გაფორმებას არ ჩქარობს.

„ნეროაძური“ რომის „ლაციოს“ ბრაზილიელ ნახევარმცველ სეზარსაც უტრიალებს, რომელსაც დედაქალაქელებთან კონტრაქტი ასევე ამ სეზონის ბოლოს ეწურება. იგი „ლაციოსთან“ ახალ შეთანხმებაზე მოლაპარაკებას აწარმოებს და გავრცელებული ცნობით, მხარეები საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებენ. ასე რომ, დიდი შანსია, სეზარი, მართლაც, შავ-ლურჯ მაისურში ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ მისით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი.

პარალელურად მილანელები თავიანთ ურუგვაელ ფორვარდ ალვარო რეკობასთან ახალი შეთანხმების გაფორმებას აპირებენ. სამხრეთამერიკელი დღემდე „ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატის ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშედ რჩება და მას, ალბათ, მალე შესთავაზებენ ახალ კონტრაქტს.

მოგეხსენებათ, 29 წლის რეკობა საკმაო ხანია, სათანადო თამაშს ვერ აჩვენებს. თუმც „სან სიროზე“ დარჩენა თავად მისი სურვილიცაა. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მან „ინტერი“ სეზონის ბოლოს უნდა დატოვოს.

„კლუბსა და რეკობას შორის ვითარება ცოტა დაძაბულია, თუმც მჯერა, მორიგი შეხვედრის შერე ყველაფერი გაირკვევა, ალვარო ჩინებული ფეხბურთელია და, იმედია, ისევ ჩვენთან დარჩება. მას ნებისმიერ დროს შეუძლია პატარა საოცრების მოხდენა“ — თქვა მორატიმ.

ბოლოს, „ინტერისა“ და „იუვენტუსის“ მცირე კონფლიქტიც ვახსენოთ. ცოტა ხნის წინ ტურინელთა ერთ-ერთმა მმართველმა ანტონი ჯირაუდომ აღნიშნა, ზოგმა კლუბმა მხოლოდ ფულის უაზროდ ხარჯვა და მაქინაციები იცის, ხოლო მოგებით ვერაფერს იგებსო. ჯირაუდოს კონკრეტულად არავინ უხსენებია, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ საუბარი „ინტერზე“ იყო. შეგახსენებთ, „ნეროაძურიმ“ მასიმო მორატის მმართველობის პერიოდში 110 სხვადასხვა ფეხბურთელზე 446 მილიონი გირვანქა დახარჯა და მხოლოდ უეფას თასი (1998) და იტალიის თასი (2005) მოიგო.

მილანელთა პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ „ბებერი ქალბატონისთვის“ პასუხი არ დააყოვნა: „დღეს მორალსა და პატიოსნებაზე ბევრი საუბრობს, თუმც საკუთარი ცოდვები ყველას ავიწყდება. ვინც თავის ფულს ხარჯავს და არანაირ მაქინაციაში არაა გარეული, არ შეიძლება, ცილი დასწამო და რამე დაბრალო. ვფიქრობ, არ არის საჭირო, ჯირაუდოსა და სხვებს ავუხსნა, რა არის მართლაც ამორალური და უსამართლო. მან თავადაც ყველაფერი კარგად იცის“.

კოკი კანდელაკი

ტრაგედია უტრეხტში

სამწუხარო ამბავი — გარდაიცვალა 26 წლის ფრანგი ფეხბურთელი დავიდ დი ტომაზო, ჰოლანდიური „უტრეხტის“ ლეგიონერმა ძილში დალია სული. მედიის ცნობით, ფეხბურთელი, რომელსაც მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, გულის შეტევამ იმსხვერპლა.

„უტრეხტის“ პრესმდივანმა განაცხადა: „ერთადერთი, რაც ვიცით ისაა, რომ დი ტომაზოს აკრძალული პრეპარატები არასდროს მიუღია“.

დავიდ დი ტომაზომ კარიერა „მონაკოში“ დაიწყო, საიდანაც მეორე დივიზიონის „სედანში“ აღმოჩნდა. მან „მონაკოში“ საფრანგეთის ჩემპიონატი (2000 წელს) მოიგო, მაგრამ მხოლოდ შვიდი მატჩი ითამაშა.

2004 წლის ივლისში „სედანიდან“ „უტრეხტში“ გადავიდა და სეზონში 31 მატჩი მიითვალა. ფრანგი ლეგიონერი იმ სეზონში, კლუბში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამ წელს მან ცამეტ შეხვედრაში მოირგო „უტრეხტის“ მაისურა, მათ შორის გასულ უქმეებზე, „აიაქსთან“ 1:0 მოგებულ მატჩშიც შემადგენლობაში იყო.

ვაჟა ხუციშვილი

ფაბიო და სამი მუშკეტერი

ზლატანის ხულიგნობის თანხლებით

„იუვენტუსში“ საქმეები ასეა: გუშინ მიუნხენის „ბაიერნის“ შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაადასტურა, რომ მისი გუნდის ფრანგი ფეხბურთელი ვილი სანიოლი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტის სტატუსით ტურინში მიდის. რუმენიგემ თქვა: „ის ჩვენ ხელთ აღარ არის“.

სანიოლისა და „ბებერი ქალბატონის“ ურთიერთტრფობის ამბავი რამდენიმე კვირაა, რაც საზოგადოებამ შეიტყო, მაგრამ ოფიციალურად არსაიდან დასტურდებოდა. ორი კვირის წინ თავად სანიოლი ამბობდა, რომ მსოფლიოს წამყვანი კლუბისგან ჰქონდა მიწვევა, რუმენიგემ კი ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

„სამწუხაროდ, რობერტ კოვაჩის შემდეგ „იუვე“ კიდევ ერთ მოთამაშეს გვტაცებს და კვლავ უფასოდ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ. ტურინელებთან უბრალოდ, მატერიალურად ვერ ვჭიდაობთ“ — დასძინა მიუნხენელთა შეფმა.

ახლა ზლატან იბრაჰიმოვიჩისა ვთქვათ: იგი ტელეკამერებმა კიდევ ერთხელ გამოიჭირეს ცუდ საქციელზე — კვირას „ტრევიზოსთან“ შეხვედრაში, შვედმა მეტოქის მოთამაშეს, მარჩელო კოტაფავას ბურთი ესროლა.

რაც ფეხბურთის თამაშს შეეხება, აქ იბრაჰიმოვიჩი უზადო გახლდათ — „ტრევიზოსთან“ შეხვედრაში სამი გოლიდან ორი მისი პასით გავიდა, მაგრამ აი, რაც შეეხება დისციპლინას...

ხსენებული შეხვედრის მსაჯი გახლდათ სალვატორე რაკალბუტო, რომელსაც იბრაჰიმოვიჩის და კოტაფავას მომენტი შეუმჩნეველი დარჩა — „იბრამ“ მეტოქეს კეფაში ესროლა ბურთი, რადგან ის აუტის სწრაფად ჩაწოდებაში უშლიდა ხელს. მოგეხსენებათ, ეს ინციდენტი შვედისთვის პირველი სრულებითაც არ არის. გასულ სეზონში ის სამი თამაშით იყო დასჯილი, „ინტერის“ მცველ ივან კორდობასთან ძიძგილაობის გამო.

ერთი სიტყვით, მალმიოში დაბადებულ-გაზრდილი „იბრა“ ეგ არის, რაც არის, მაგრამ თავისი აფრაკი ბუნებით უკვე მის მიმართ საუცხოოდ განწყობილ ფაბიო კაპელოსაც კი აბრაზებს. დონ ფაბიოს სულაც არ დავიწყებია, მიუნხენის „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში როგორ სულელურად გააძევებინა შვედმა მსაჯს ბოლო წუთებზე თავი.

„ჩვენ თვითონ გავარკვევთ მასთან ურთიერთობას — დაიქადნა კაპელომ — ის ახალგაზრდაა და ამ ცხოვრების ბევრი რამ ჯერ სასწავლი აქვს, მაგრამ გარწმუნებთ, ჩავაყენებთ კალაპოტში“.

და ბოლოს, ყველაზე მთავარ თემას მივადექით: „იუვენტუსი“ რამდენიმე თამაშს იბრაჰიმოვიჩის გარეშეც გაძლებს და უსანიოლოდაც გაიტანს თავს, მაგრამ იქნებიან თუ არა ამ კლუბში ანტონიო ჯირაუდო, რობერტო ბეტეგა და ლუჩანო მოჯი, მათთან ერთად კი ფაბიო კაპელო, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობის ამბავია.

იტალიური ფეხბურთის ავანჩავანში გარკვეულ ხალხს შეხსენება არ სჭირდება, რომ ამას წინათ ფაბიო კაპელომ საქვეყნოდ განაცხადა, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამეული „იუვედან“ წავა, მეც მივყვები, რადგან მთელი სტრატეგია მათზე მაქვს აწყობილიო.

მათთვის, ვინც არ იცის, განვმარტავთ, რომ ჯირაუდო კლუბის ფინანსური დირექტორია, მოჯი სატრანსფერო საქმეთა დიდოსტატი, ბეტეგა კი ვიცე-პრეზიდენტი და ამ სამეულმა, აგერ უკვე, თორმეტი წელიწადია, ისე მართა „ბებერი ქალბატონი“, რომ მომგებიან საწარმოდ აქცია. ხოლო საკითხი ამ სამეულის შესაძლო დაშლის შესახებ, ერთ-ერთმა ტელეარხმა წამოსწია, როდესაც შაბათის პრგრამაში თქვა, რომ მოჯი სეზონის ბოლოს „ტორინოში“ გადადის.

„ამ ხმას თავიდან ბოლომდე უარვყოფ — განაცხადა გუშინ მოჯიმ — მეტიც, ამ გამოსვლით ვისარგებლებ და ყველას გასაგონად განვაცხადებ, რომ მე, ჯირაუდო და ბეტეგა „იუვენტუსიდან“ ფეხსაც არ ვიცვლით. ჩვენი მომავალი შავთეთრია, დანარჩენი კი ყველაფერი ჭორაობა გახლავთ“.

კაკუნა კედია

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ფაბიო კაპელოც გააბრაზა

AFP

უეფას თასი 2005-2006

ჯგუფური ეტაპი. IV ტური

AFP ბრალიდან

დღეს „მონაკოს“ კარგი დღე ნამდვილად არ ელის, „სლავიას“ „ხულიგნები“ ფრანგებს ასე დაუხვდებიან

იფიქრეთ წინსვლაზე!

A ჯგუფი

„სლავია“, რომელსაც ჯერ თამაში არ წაუგია, „მონაკოს“ მასპინძლობს. ფრანგული კლუბისთვის ეს პირველი დაპირისპირება იქნება ჩეხურ გუნდთან. „სლავია“ თავის მხრივ სამჯერ შეხვედრია ფრანგებს უეფას თასზე. „ლანსთან“ და „ბორდოსთან“ ორმატჩიან დუელში დამარცხდა, ხოლო „ნიცას“ ავჯობა.

პრაღელებმა დღეს თუ მოიგეს, მერვედფინალს გაინაღდებენ.

ეროვნულ ჩემპიონატში „სლავია“ „ბლშანს“ დაუზავდა, მწვრთნელმა კარელ იაროლიმმა კი თქვა: „მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასეთ. ფეხბურთელები ვერ განვაწყვე და ეს ჩემი შეცდომაა“.

„მონაკოს“ პრაღაში ხერარდ ლოპესი, მეკარე ფლავიო რომა, სებასტიან სკილაჩი და ხავიერ ერნესტო ჩევანტონი დააკლდება.

„ვიკინგისთვის“ სოფიაში ცსკასთან მატჩი ჯგუფში ბოლო იქნება. ნორვეგიული გუნდის მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა განაცხადა: „ცსკა — „ჰამბურგის“ შეხვედრა ვნახე და ბულგარელებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩვენ აუცილებლად გვიჭირდება გამარჯვება, რათა მერვედფინალში გასვლის შანსი დავიტოვოთ“.

რაც შეეხება „ვიკინგის“ მეტოქეს, მათ ჩემპიონატში, დედაქალაქური „სლავია“ დაამარცხეს. როი ჰოჯსონისთვის ეს ბოლო მატჩი იქნება „ვიკინგში“, რადგან შემდეგ ფინეთის ნაკრების მწვრთნელი გახდება.

B ჯგუფი

მოსკოვის „ლოკომოტივი“ ისრაელში, ფეთაჰ-თიკვას „მაკაბის“ ეწვევა. ვლადიმირ ეშტრეკოვის გუნდი რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილს ვერ ასცდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდება. ამიტომ „ლოკოს“ უეფას თასზე წინსვლა თუ სურს, „მაკაბის“ უნდა მოუგოს. მოსკოველებისთვის ეს ჯგუფში ბოლო მატჩია. „ლოკომოტივს“ ფრანსისკო ლიმა, დმიტრი ხოხლოვი და დმიტრი სიჩოვი დააკლდებიან, მარატ იზმაილოვის თამაში კი საეჭვოა.

„ბრონდბიუს“ მეტოქე „ესპანიოლი“ იქნება. დანიელები ესპანურ კლუბებს ევროთასებზე აქამდე სამჯერ გადაეყარნენ, მაგრამ ერთხელაც ვერ გასცდნენ.

C ჯგუფი

შვედური „ჰალმსტადი“ ბუქარესტის „სტიაუას“ ეწვევა და ამით ჯგუფურ ეტაპს დაასრულებს. „ჰალმსტადმა“ რომ მოიგოს, მაინც ვერ გავა მერვედფინალში, რადგან სამ ქულაზე მეტს ვერ მოაგროვებს.

„სტიაუა“ კი პირველ ადგილზეა და გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალს გაინაღდებს. ბუქარესტელებმა ჩემპიონატში სტუმრად თამაში მოიგეს. რუმინელთა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა განაცხადა: „ეს მხოლოდ დამსახურებული გამარჯვება კი არა, მნიშვნელოვანი მოგება იყო, რადგან „ჰალმსტადოან“ თამაში გველის“.

გენუაში „სამპდორია“ ბერლინის „ჰერტას“ დაუხვდება. „ჰერტამ“ ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა ზავით დაამთავრა — ჯერ „ლანსს“ გაუნაწილა ქულები, შემდეგ კი ბუნდესლიგაში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ვერ ავჯობა.

D ჯგუფი

ამ ჯგუფში „მიდლსბრომ“ მერვედფინალში თავი უკვე დაიგულა. „გრასჰოპერს“ რომელიც უკრაინულ „დნიპროს“ მასპინძლობს, სამერვედფინალო შანსის შესანარჩუნებლად აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. უკრაინული გუნდისთვის ეს ჯგუფში ბოლო მატჩია და ისინი ალბათ ქულის აღებას მაინც შეეცდებიან, რათა ტურნირი უსახელოდ არ დაასრულონ. „დნიპრომ“ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში თვით „შახტართან“ არ წააგო და 2:2 ითამაშა, ხოლო „გრასჰოპერმა“ შინ „აარაუსთან“ ვერ მოიგო.

ლუის ვან გაალის „ალკმაარი“ ლოვეჩის „ლიტექსს“ ესტუმრება. ორივე გუნდს ორ-ორი მატჩი დარჩა სათამაშო. „ალკმაარს“ და „ლიტექსს“ ჯერ ჯგუფში შეხვედრა არ წაუგიათ.

ვაჟა ხუციშვილი

A ჯგუფი						
სლავია (ჩეხეთი) — მონაკო (საფრანგეთი)						
ცსკა (ბულგარეთი) — ვიკინგი (ნორვეგია)						
ჰამბურგი	3	2	0	1	3:2	6
სლავია	2	1	1	0	6:4	4
ვიკინგი	3	1	1	1	3:4	4
მონაკო	2	1	0	1	2:1	3
ცსკა	2	0	0	2	2:5	0
B ჯგუფი						
ბრონდბიუ (დანია) — ესპანიოლი (ესპანეთი)						
მაკაბი (ისრაელი) — ლოკომოტივი (რუსეთი)						
პალერმო	3	1	2	0	3:2	5
ლოკომოტივი	3	1	1	1	4:3	4
ესპანიოლი	2	1	1	0	2:1	4
ბრონდბიუ	2	1	0	1	4:4	3
მაკაბი	2	0	0	2	1:4	0
C ჯგუფი						
სამპდორია (იტალია) — ჰერტა (გერმანია)						
სტიაუა (რუმინეთი) — ჰალმსტადი (შვედეთი)						
სტიაუა	2	1	1	0	4:0	4
სამპდორია	2	1	1	0	3:1	4
ლანსი	3	1	1	1	5:4	4
ჰერტა	2	1	1	0	1:0	4
ჰალმსტადი	3	0	0	3	1:9	0
D ჯგუფი						
გრასჰოპერი (შვეიცარია) — დნიპრო (უკრაინა)						
ლიტექსი (ბულგარეთი) — ალკმაარი (ჰოლანდია)						
მიდლსბრო	3	2	1	0	4:0	7
ლიტექსი	2	2	0	0	4:1	6
ალკმაარი	2	1	1	0	2:1	4
გრასჰოპერი	2	0	0	2	1:3	0
დნიპრო	3	0	0	3	1:7	0

იქ ვილაც იტყუებოდა

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელები მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს ასისტენტს, პაულო კამპოსს დასჯიან. მიზეზი: კამპოსს განუცხადებია, რომ მადრიდელთა ცნობილმა ფეხბურთელმა, ხოსე მარია გუტიმ ამასწინათ გამართული „ელ კლასიკოს“ ანუ „რეალი“ — „ბარსას“ წინ ფეხის ტკივილი მოიმიზეზა. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა „ბარსელონამ“ 3:0 მოიგო, ხოლო გუტი ჩივილის მიუხედავად, მეორე ტაიმში მოედანზე შევიდა.

„ვიცი, რომ რაღაც პრობლემა იყო, მაგრამ გუტიმ და კამპოსმა ილაპარაკეს და ყველაფერი მოგვარდა“ — განაცხადა „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გუშინ, რადიო „კადენა სერში“ გამოსვლისას.

ახლა კი დაზუსტებით მოვყვეთ, რა თქვა ამისთანა კამპოსმა. მან რადიო „ბანდეირანტესთან“ საუბრისას ბრძანა: „თამაშის წინ გუტიმ თქვა, რომ ფეხზე კუნთის გაჭიმვას გრძნობს. ვანდერლეიმ კუნთზე სურათის გადაღება სთხოვა, გავიგოთ, რა ხდებაო. სამედიცინო პერსონალმაც გადაიღო სურათი, რომელზეც გამოჩნდა, რომ გუტის ფეხზე არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. აქ ჩვენთვის არაფერია სიახლე, ფეხბურთელები ხშირად ცდილობენ ჩვენ მოტყუებას“.

ხოლო გაზეთ „ასს“ „რეალის“ ექიმთა შეფმა ალფონსო დელ კორალმა სულ სხვა პათოსით უთხრა: „ის, რაც მან გუტიზე თქვა, სამართლიანი არ არის. ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ფეხბურთელმა დაიჩივლა, ჩვენ სურათი გადავუღეთ. თუ კაცს რაიმე გტკივა, ტრავმამდე ვარჯიშის გაგრძელება სისულელეა“.

პაპუნა კედია

ხოსე მარია გუტი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „სიენას“ პრეზიდენტმა პაოლო დე ლუკამ, კლუბის მთავარ მწვრთნელ ლუიჯი დე კანიოს ნდობა გამოუცხადა. არადა, ტოსკანელთა ბოლოდროინდელი ცუდი თამაშის გამო, დე კანიოს თითქოს პოსტის შენარჩუნების შანსი აღარ ჰქონდა. დე ლუკას თქმით, იგი ბოლომდე ენდობა მწვრთნელს.

გერმანული „შტუტგარტს“ კიდევ ორი ფორვარდი — შვეიცარიელი მარკო შტრელერი და ბრაზილიელი კაკუ დაუშავდა. 24 წლის შტრელერმა მუხლი „აინტრახტთან“ მატჩში იტკინა და ექიმები მას დაახლოებით სამკვირიან უქმობას უწინასწარმეტყველებენ. კაკუ კი შესაძლოა, მინდორს უფრო ადრეც დაუბრუნდეს.

პორტუგალიური „ბენფიკას“ კაპიტანი სიმაო საბროსა იანვარში, სავარაუდოდ, მაინც „ლივერპულში“ გადავა. ორ კლუბს შორის მოლაპარაკება დიდი ხანია მიმდინარეობს და თუ საბოლოო ჭორებს ვენდობით, მათ შეთანხმება შეძლეს. წესით, იანვარში სიმაო „ენფილდზე“ 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ უნდა გადავიდეს.

იტალიური „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ კლუბის თავკაც ლუიჯი დელ ნერის ულტიმატუმი წამოუყენა — თუ სიცილიელები უახლოეს ორ-სამ თამაშში შედეგებს ვერ გააუმჯობესებენ, დელ ნერის პოსტის დატოვება მოუწევს.

ბრაზილიური „კორინთიანსის“ ფორვარდი ჟოაუ ალვეში უახლოეს მომავალში, ალბათ, მოსკოვის ცსკა-ს ფორმას მოირგებს. კლუბებს შორის მოლაპარაკება თითქმის მიღწეულია და საბოლოო შეთანხმების შედეგს მომავალ უქმეებზე, ანუ ბრაზილიის ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ გავიგებთ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 5 მილიონი გირვანქით დააჯარიმა „ასტონ ვილას“ თავკაცი დევიდ ოლირი, რომელმაც გასულ უქმეებზე, თანაქალაქელ „ბირმინგემთან“ მატჩისას შეხვედრის მთავარი არბიტრი გრემ პოლი შეურაცხყო. გამოცდილმა სპეციალისტმა ემოციები ვერ მოთოკა და ერთ ეპიზოდში სტადიონზეც შევარდა.

იტალიურმა „რომამ“ ვეტერან ნახევარმცველ დამიანო ტომაზის ახალი კონტრაქტი შესთავაზა. გავრცელებული ცნობით, 31 წლის ფეხბურთელი „სტადიო ოლიმპიკოზე“ სულ ცოტა, კიდევ ერთი წლით დარჩება.

ესპანური „ესპანიოლი“ ხელმძღვანელობას იცვლის. კლუბის პრეზიდენტობაზე ამჟამად ორი მთავარი კანდიდატია — დანიელ სანჩესი და კლაუდიო ბიერნი. კატალონიელთა ყველაზე მსხვილი აქციონერის ანუ 25 პროცენტის მფლობელ ხოსე მანუელ ლარას თქმით, იგი მხარს ბიერნის უჭერს.

ტოგოს ეროვნული გუნდის თავკაც სტივენ კეშს მუნდიალამდე ორი ფრანგი მოთამაშის — ბაიერნელი ვალერიან ისმაელისა და საუთჰემპტონელი ჟოან ფოლის დამატება გადაუწყვეტია. ორივე ფეხბურთელს „მამლების“ შემადგენლობაში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ტოგოს წინადადებას დათანხმდნენ.

იტალიური „ლაციო“ ფაბიო ლივერანისთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. ამაზე თავად ფეხბურთელიც თანახმაა და საბოლოო შეთანხმება, ალბათ, იანვარში გაფორმდება.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი კვინტონ ფორჩუნი, ალბათ, კარიერას ესპანეთში გააგრძელებს. სამხრეთაფრიკელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ უნდა და მზადაა, ლა კორუნიის „დეპორტივოს“ წინადადება მიიღოს.

ჰოლანდიური „აიაქსის“ ახალგაზრდა სომეხ ვარსკვლავ ედგარ მანუჩარიანს თვენახევარი გაუცდება. 20 წლის ფეხბურთელი „უტრეხტთან“ მატჩისას დაშავდა. პარალელურად თითქმის გადაწყდა, რომ კლუბს დატოვებს ბრაზილიელი მცველი მაქსველი, რომელსაც ორი იტალიური გრანდი — „ინტერი“ და „იუვენტუსი“ ეპატიჟება.

იტალიური „ფიორენტინა“ სევილიური „ბეტისის“ ნახევარმცველის, ხოაკინ სანჩესის გადაბირებას აპირებს. გავრცელებული ცნობით, ფლორენციელები მზად არიან, მის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, სევილიელები კი ცოტა უფრო მეტს ითხოვენ.

ინგლისური „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი ისრაელის „პაპოელის“ შემენას გეგმავს, უეფა კი ერთბაშად ორი კლუბის მფლობელობას კრძალავს, თუმც ჩუკოტკელი ბიზნესმენი თელავივური კლუბის თავის სახელზე გაფორმებას მაინც აპირებს.

ჰოლანდია

II დივიზიონი. XX ტური

ექსელსიორი 3:0 ჰელმონდი
დენ ბოსხი 1:1 ალმერე
დორდრეხტი 2:2 ჰაარლემი
ვოლენდამი 0:0 მაასტრიხტი
ტელსტარი 1:0 კამბური
ვეენდამი 2:2 ზვოლე
ვენლო 1:1 სიტარდი
ეინდჰოვენი — ოსი გადაიდო
აპელდორნი — გრაფშაფი გადადო
იგლსი — ემენი გადაიდო

ვენლო	19	12	5	2	31:10	41
ექსელსიორი	19	12	3	4	35:12	39
ვოლენდამი	19	11	5	3	32:16	38
ემენი	18	11	2	5	37:21	35
ზვოლე	19	10	5	4	35:21	35
დენ ბოსხი	19	9	6	4	34:25	33
ჰელმონდი	19	9	3	7	27:31	30
მაასტრიხტი	20	7	7	6	28:25	28
ვეენდამი	19	7	5	7	25:23	26
დორდრეხტი	19	6	7	6	24:22	25
გრაფშაფი	18	7	4	7	23:21	25
ტელსტარი	19	5	7	7	18:26	22
ჰაარლემი	20	6	4	10	22:40	22
იგლსი	18	5	6	7	23:28	21
ოსი	18	5	6	7	21:29	21
აპელდორნი	18	6	2	10	32:33	20
კამბური	19	3	8	8	18:26	17
ეინდჰოვენი	18	4	4	10	25:30	16
ალმერე	19	3	3	13	22:48	12
სიტარდი	19	1	6	12	18:43	9

იტალია

სერია B. XVII ტური

ვერონა 1:2 კატანია

მანტოვა	17	10	7	0	22:8	37
ტორინო	17	9	5	3	17:9	32
ატალანტა	17	10	1	6	24:18	31
კატანია	17	8	6	3	24:18	30
ჩეზენა	17	8	4	5	25:18	28
ბრეშა	17	7	7	3	23:16	28
მოდენა	17	6	9	2	21:13	27
ვერონა	17	6	7	4	18:12	25
პიაჩენცა	17	6	7	4	24:19	25
არეცო	17	6	7	4	19:14	25
პესკარა	17	7	4	6	22:20	25
ტრიესტინა	17	7	4	6	16:17	25
რიმინი	17	6	5	6	21:20	23
ბარი	17	5	6	6	18:18	21
კროტონე	17	5	6	6	15:15	21
ბოლონია	17	4	7	6	18:21	19
ვიჩენცა	17	5	4	8	20:26	19
ტერნანა	17	3	6	8	12:25	15
ალბინოლეფე	17	2	8	7	12:20	14
აველინო	17	3	4	10	13:29	13
კატანძარო	17	2	5	10	8:19	11
კრემონეზე	17	1	3	13	11:28	6

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIV ტური

კოტბუსი 1:2 ფიურტი

მიუნხენი	14	8	3	3	23:13	27
ბოხუმი	14	7	5	2	24:13	26
ალემანია	14	8	1	5	27:18	25
კოტბუსი	14	7	3	4	25:18	24
ფრაიბურგი	13	7	3	3	20:14	24
კარლსრუე	14	7	3	4	19:15	24
ფიურტი	14	7	3	4	24:21	24
პადერბორნი	14	7	2	5	25:14	23
ბრაუნშვაიგი	14	6	3	5	18:14	21
აუე	14	4	6	4	13:12	18
ჰანზა	13	5	3	5	16:16	18
უნტერჰახინგი	14	5	2	7	21:22	17
ბურგჰაუზენი	14	4	5	5	16:23	17
ზიგენი	13	4	3	6	18:18	15
ოფენბახი	14	4	2	8	14:28	14
დინამო	13	3	2	8	17:24	11
ალენი	13	1	5	7	13:25	8
ზაარბრიუკენი	13	1	2	10	7:32	5

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

ჟილ ვისენტე 0:1 პორტუ

პორტუ	12	8	3	1	19:7	27
ნასიონალი	12	8	3	1	15:4	27
ბრაგა	12	8	2	2	13:5	26
სეტუბალი	12	7	2	3	10:3	23
სპორტინგი	12	7	2	3	17:14	23
ბენფიკა	12	5	4	3	19:12	19
ბოავიშტა	12	4	7	1	18:11	19
ფერეირა	12	5	2	5	14:15	17
მარიტიმუ	12	3	6	3	14:14	15
რიუ ავე	12	4	3	5	15:17	15
აკადემიკა	12	4	2	6	11:16	14
ლეირია	12	3	3	6	12:16	12
ბელენენსეში	12	3	2	7	13:16	11
ნავალი	12	3	2	7	13:20	11
ჟილ ვისენტე	12	3	2	7	9:16	11
ამადორა	12	2	4	6	8:13	10
გიმარაეშში	12	3	1	8	7:17	10
პენაფიელი	12	1	4	7	9:20	7

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XI ტური

ოლიმპიაკოსი 2:1 ირაკლისი

ოლიმპიაკოსი	11	9	0	2	23:6	27
აეკ	11	8	2	1	16:5	26
პანათინაიკოსი	11	7	2	2	17:9	23
ქსანთი	11	6	2	3	15:10	20
პაოკ	11	5	4	2	18:9	19
ეგალეო	11	3	7	1	9:8	16
იონიკოსი	11	3	6	2	15:16	15
ირაკლისი	11	4	2	5	11:14	14
ლარისა	11	3	4	4	15:13	13
ატრომიტოსი	11	3	3	5	11:12	12
ოფი	11	2	5	4	8:14	11
კალამარია	11	3	2	6	8:17	11
ლევადიაკოსი	11	2	4	5	7:11	10
პანიონიოსი	11	2	3	6	9:20	9
აკრატიტოსი	11	1	3	7	5:13	6
კალითეა	11	1	3	7	7:17	6

საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური

გრენობლი 2:1 შატორუ

ვალანსიენი	17	9	5	3	24:14	32
სედანი	16	9	5	2	23:14	32
ბასტია	16	9	3	4	24:13	30
ლორიანი	17	8	6	3	22:11	30
კრეტეი	17	8	5	4	28:14	29
შატორუ	17	6	7	4	23:20	25
გრენობლი	17	6	5	6	16:18	23
კაენი	17	5	7	5	20:16	22
ამიენი	17	5	7	5	19:18	22
ბრესტი	17	5	7	5	18:17	22
ლე ავრი	17	5	6	6	21:20	21
რეიმსი	17	4	8	5	13:12	20
გენიონი	17	4	8	5	12:19	20
დიჟონი	17	4	7	6	14:18	19
ლავალი	17	5	3	9	17:25	18
ისტრი	17	4	6	7	16:24	18
მონპელიე	17	4	6	7	15:23	18
კლერმონი	17	4	5	8	12:28	17
გენგამი	17	2	8	7	9:15	14
სეტე	17	2	8	7	17:24	14

ინგლისი

ჩემპიონატი. XXI ტური

კარდიფი 2:1 იფსვიჩი

რედინგი	21	15	5	1	38:11	50
შეფილდი	21	14	4	3	42:21	46
უოტფორდი	21	10	7	4	36:25	37
ლიდსი	20	10	6	4	26:18	36
ლუთონი	21	10	4	7	33:28	34
კარდიფი	21	8	7	6	32:24	31
ბარნლი	21	9	4	8	30:25	31
სტოკი	21	10	1	10	25:28	31
კრ. პალასი	19	9	3	7	31:22	30
ვულვზი	21	7	9	5	26:18	30
პრესტონი	21	6	11	4	24:20	29
საუთჰემპტონი	20	5	12	3	23:18	27
ქუინზ პარკი	21	6	7	8	23:30	25
ლესტერი	20	5	9	6	22:23	24
იფსვიჩი	21	6	6	9	23:33	24
ნორვიჩი	21	6	5	10	21:27	23
დერბი	21	4	10	7	27:32	22
ჰალი	21	4	8	9	18:25	20
პლიმუთი	20	4	8	8	16:25	20
უენსდი	21	4	8	9	17:27	20
ქოვენთრი	21	3	10	8	24:33	19
ქრიუ	21	4	7	10	23:41	19
ბრაიტონი	21	2	12	7	20:29	18
მილუოლი	21	3	7	11	16:33	16

იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი,
1999 წელს გამოშვებული **ISUZU RODEO**
2.2 ბენზინის ძრავით,
იდეალურ
მდგომარეობაში,
განბაჟებული.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: 8 99 55 80 27



რონალდინიო

დაიბადა 1980 წლის 21 მარტს პორტუ ალეგრეში (ბრაზილია)

სიმაღლე: 182 სმ; წონა: 76 კგ

ამპლუა: ნახევარმცველი

კლუბები

გრემიო (1986-2001): 150 მატჩი, 67 გოლი

პარი სენ ჟერმენი (2001-2003): 77 მატჩი, 25 გოლი

ბარსელონა (2003 წლიდან): 110 მატჩი, 50 გოლი

ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში: 62 მატჩი, 27 გოლი

ტიტულები

17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი (1): 1997

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი (1): 1999

ბრაზილიის რიოს შტატის ჩემპიონი (1): 1999

ბრაზილიისთასისმფლობელი(1): 1999

მსოფლიოს ჩემპიონი (1): 2002

კატალონიის თასის მფლობელი (1): 2003

ხუან გამპერის თასის მფლობელი (1): 2003

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას კერსიით (1): 2004

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჟურნალ „უორლდ სოკერის" ვერსიით (1): 2004

ესპანეთის ჩემპიონი (1): 2005

ესპანეთის სუპერთასის მფლობელი (1): 2005

ფიფას კონფედერაციათა თასის მფლობელი და საუკეთესო ბომბარდირი (1): 2005

2005 წლის 28 ნოემბერს დასახელდა ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად

უბრალოდ რონალდინიო

რონალდო ასის დე მორეირა „ბარსელონას" მეხუთე ფეხბურთელია, რომელმაც „ოქროს ბურთი" მოიგო — აქამდე „ფრანს ფუტბოლის" ლაურეატები ლუის სუარესი, იოჰან კრუიფი, ხრისტო სტოიჩკოვი და რივალდო იყვნენ.

რონალდინიოს ახლა ესპანეთის პრიმერადივიზიონის, ჩემპიონთა ლიგის და მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაც უნდა.

გუშინწინდელი გალა-დაჯილდოების მერე მას მადრიდული „ასის" კორესპონდენტი ესაუბრა.

— ელოდით, რომ „ოქროს ბურთს" მოიგებდით?

— სიმართლე გითხრათ, არა. უბრალოდ, ამ ჯილდოს მოსაგებად მოედანზე თავი არ დამიზოგავს. სხვა ამბავია, ჩემი თამაში როგორც შეაფასეს. პირველად „ოქროს ბურთზე" სერიოზულად 1997 წელს ვიფიქრე, როცა ამ საპატიო პრიზის მფლობელი რონალდო გახდა, პირველი ბრაზილიელი. იმ დღიდან მოყოლებული, ძალიან მინდოდა, „ოქროს ბურთი" ჩემიც ყოფილიყო.

— და ახლა, როცა ჯილდო თქვენია, რას გრძნობთ?

— იმას, რომ ვეცდები, რონალდოსავით პრიზი მეორედ მოვიგო. უბედნიერესი ადამიანი ვარ.

— „ოქროს ბურთს" ჩემპიონთა თასზე გაცვლიდით?

— არა, რადგან „ბარსელონასთან" ერთად ლიგის მოგება საუკეთესო გზა იქნება ამ ჯილდოს კვლავ მოსაპოვებლად.

— ახლა რას აპირებთ?

— ესპანეთის ჩემპიონატი მეორედ უნდა მოვიგო და, რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგაც „ბარსას" უნდა დარჩეს. ძალიან გამიხარდება, თუ ბრაზილიის ნაკრები გერმანია 2006-ზეც ოვივეს გაიმეორებს, რაც წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძლო.

— გამარჯვებებით არ იღლებით? გეტყობათ, ტიტულები კვლავაც გინდათ...

— მე მიყვარს ფეხბურთი და, რა თქმა უნდა, გამარჯვებაც. ცხოვრებაში ვერაფერი გამაბედნიერებს ისე, როგორც ფეხბურთის თამაში და, თუ ბურთაობას მოგებაც თან ერთვის, ამაზე კარგი არაფერია.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის „რეალთან" ამასწინანდელი მატჩი გავიხსენოთ. ის თამაში რონალდინიოს ოსტატობის მწვერვალი იყო?

— მოდით, ასე ვთქვათ — ბოლო „ელ კლასიკო", სწორედაც რომ რონალდინიოს ოსტატობის მწვერვალი იყო, მაგრამ ნუ ჩავთვლით ამას სრულყოფილებად. წინ ბევრი თამაში მელის და იმედი მაქვს, რომ ქომაგს უკეთეს ფეხბურთს ვუჩვენებ. ის გრძნობა კი, მართლაც განსაკუთრებული იყო. უფრო მეტიც, „ბერნაბეუზე" სულიერი ბედნიერება განვიცადე. ყველაფერი საოცრად გამოვიდა. ბრაზილიური „ელ კლასიკოც" მითამაშია და ფრანგულიც, მაგრამ მადრიდისა და ბარსელონას დაპირისპირებას სხვა ელფერი აქვს. ვიტყოდი, რომ ეს ნამდვილი ფეხბურთის საუკეთესო მხარეა. პირადად მე მადრიდული მატჩის მერე მივხვდი, რომ ჩემი თამაშით უამრავ ხალხს ვანიჭებ ბედნიერებას.

— თქვენი თამაშით „რეალის" ქომაგიც კმაყოფილი დარჩა, „სანტიაგო ბერნაბეუმ" გულწრფელი აპლოდისმენტებით დაგაჯილდოვათ...

— მადრიდულ ინჩადას ტაშისთვის მადლობა და ამას ძალიან ვაფასებ. ამაღელვებელი და ლამაზი სანახავი იყო, ქომაგები აპლოდისმენტებით რომ მაჯილდოვებდნენ. მერე გავიგე, მადრიდში „ბარსელონას" ფეხბურთელებიდან ასე, მხოლოდ დიეგო მარადონას მოექცნენ და ეს პატივი უფრო ძვირფასია ჩემთვის.

— ბედნიერი იყავით ამ აღიარებით?

— ბედნიერი ვარ იმით, რომ ხალხს ჩემი ფეხბურთი მოსწონს. „ბარსელონაში" ვთამაშობ და, ცხადია, ყველაზე მეტად ამ კლუბის გულშემატკივართა ოვაციებს ვაფასებ, თუმც სხვა გუნდების ფანთა აპლოდისმენტებიც სიხარულით მავსებს — განსაკუთრებით, თუ ისინი ბავშვები არიან.

— ბავშვები ახსენეთ. მართლაც, პატარები გიყდებიან რონალდინიოზე...

— მათ თავიანთი ოცნებები აქვთ. ფეხბურთით ცხოვრობენ, ჩვენ კერპებად გვაქცევენ-ხოლმე. მათი იმედების გაცრუება არ შეიძლება. საერთოდაც, ფინტებს პატარების გამო ვაკეთებ, კომპიუტერული თამაშის დროს რომ გაახსენდეთ.

— გამოდის, თქვენც კერპი ხართ...

— მე კერპი არ ვარ, არც ვარსკვლავი. უბრალოდ, რონალდინიო, ფეხბურთელი ვარ, მორჩა და გათავდა.

— ჟიურის წევრი რომ ყოფილიყავით, „ოქროს ბურთს" ვის გადასცემდით?

— ვფიქრობ, ფრენკ ლამპარდი და სტივენ ჯერარდი ამ პრიზს ჩემზე არანაკლებ იმსახურებდნენ.

— კონკრეტულად მაინც რომელი?

— არ ვიცი. მე პირადად ადრიანო მომწონს, ძალიან კარგ ფორმაშია და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი მისი უნდა იყოს.

— „ოქროს ბურთს" თქვენ თანაგუნდელებს ვაუნაწილებდით?

— დიახ, „ბარსასაც" შევახვედრებდი და ბრაზილიის ნაკრებსაც. ისინი ამას იმსახურებენ, რადგან მათ გარეშე „ოქროს ბურთს" რონალდინიო ვერ მოიგებდა. შეხედეთ პრეტენდენტების სიას, ბრაზილიის ნაკრების ძირითადის ყველა ფეხბურთელს იქ ნახავთ.

— ვისი ხელიდან გინდოდათ „ოქროს ბურთის" მიღება?

— დედაჩემის და ჩემი შვილის ხელიდან, მაგრამ ჩემი ბიჭი ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვისაა..

ევროპის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია	225
ფრენკ ლამპარდი	ჩელსი	ინგლისი	148
სტივენ ჯერარდი	ლივერპული	ინგლისი	142
ტიერი ანრი	არსენალი	საფრანგეთი	41
ანდრეი შევჩენკო	მილანი	უკრაინა	33
პაოლო მალდინი	მილანი	იტალია	23
ადრიანო	ინტერი	ბრაზილია	22
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	იუვენტუსი	შვედეთი	21
რიკარდო კაკა	მილანი	ბრაზილია	19
სამუელ ეტოო	ბარსელონა	კამერუნი	18
ჯონ ტერი	ჩელსი	ინგლისი	18
ჟუნინიო პერნამბუკანო	ლიონი	ბრაზილია	15
კლოდ მაკელელე	ჩელსი	საფრანგეთი	8
მიხაელ ბალაკი	ბაიერნი	გერმანია	7
პეტრ ჩეხი	ჩელსი	ჩეხეთი	7
დიდი დროგბა	ჩელსი	კოტ დი


ლუის სუარესი


იოჰან კრუიფი

ხრისტო სტოიჩკოვი


რივალდო

ხუთოსანი ბარსელონა

რონალდინიო მეხუთე ბარსელონელია, რომელმაც „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა. რას ნიშნავს „ოქროს ბურთის“ ისტორიის ორმოცდაათ წელიწადში მეხუთე საუკეთესო? იმას, რომ კატალონიურ კლუბს, საშუალოდ ათ წელიწადში ერთხელ ევროპის უძლიერესი ფეხბურთელი ჰყავს — კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია. ჩვენ კი სჯობს ხსენებული საუკეთესოები ჩამოვთვალოთ: ლუის სუარესი, ორჯერ იოჰან კრუიფი, ხრისტო სტოიჩკოვი, რივალდო და რონალდინიო.

ერთი დავძინოთ, „ოქროს ბურთების“ რაოდენობით ევროპულ კლუბთაგან „ბარსას“ მხოლოდ შვიდბურთიანი „იუვენტუსი“ უსწრებს, ხოლო მის ტოლად „მილანია“

ლუის სუარესი

ლუის სუარესი ევროპელმა ჟურნალისტებმა კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ 1960 წელს დაასახელეს. ეს გახლდათ „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდოს მხოლოდ მეხუთე გამარჯვებული. იმავდროულად, იგი არის პირველი და ჯერჯერობით ბოლო ესპანელი ფეხბურთელი, რომელსაც ეს პატივი ხვდომია წილად. ამ ეთნიკურად გალისიელმა კაცმა, მაშინდელ რეფერენდუმში ფერენც პუშკაშს და უვე ზეელერს ავჯობა. რაც შეეხებათ ბარსელონელებს, ისინი დღემდე კბენით ამბობენ, რომ ერთი ხნის შემდეგ, სუარესმა მათი გუნდი დიდი ფულის გამო „ინტერზე“ გაცვალა.

იოჰან კრუიფი

კატალონიაში გადაბარგებული და დამკვიდრებული ჰოლანდიელი ვარსკვლავი ორჯერ გახლდათ „ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატი და ორივეჯერ „ბარსელონაში“ თამაშის წლებში. პირველად ეს 1973 წელს მოხდა, როდესაც კრუიფი სამშობლოდან ესპანეთის სამეფოში სულ რამდენიმე თვის გადაბარგებული გახლდათ, ხოლო მეორედ თორმეტი თვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პირველ შემთხვევაში მისი საუკეთესობა, ალბათ, უფრო „აიაქსთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მოპოვებამ განაპირობა, შემდგომ წელიწადს კი ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლამ. რაც შეეხებათ ბარსელონელებს, მათთვის სასიხარულო იმ შორეულ, 1974 წელს ის მოხდა, რომ კრუიფის დიდი ძალისხმევით, „ბარსამ“ მადრიდის „რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ანუ მისსავე მოედანზე 5:0 გაანადგურა. კრუიფმა მაშინდელ რეფერენდუმებში ავჯობა ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც იყვნენ ფრანც ბეკენბაუერი, ჯორჯ ბესტი, დინო ძოფი, გერდ მიულერი და სანდრო მაცოლა.

ხრისტო სტოიჩკოვი

კრუიფიდან სტოიჩკოვამდე ანუ 1974 წლიდან 1994-მდე, „ბარსას“ ოცი წელიწადი „ოქროს ბურთის“ გარეშე დაურჩა, მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლოს სწორედ მწვრთნელი-კრუიფის ხელმძღვანელობით შეიქმნა კატალონიის „ოცნების გუნდი“ და მისი ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ბულგარელი სტოიჩკოვი გახლდათ. ხსენებულმა „ოქროს გუნდმა“ ზედიზედ ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ზედ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც დაამატა. სტოიჩკოვმა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში აჯობა რობერტო ბაჯოსა და პაოლო მალდინის.

რივალდო

1999 წელს ოთხი წელიწადი შესრულდა მას მერე, რაც „ოქროს ბურთის“ ლაურეატობა ევროპაში მოთამაშე არაევროპელი ფეხბურთელებისთვისაც გახდა მისაწვდომი და გაიმარჯვა კიდეც ბრაზილიელმა ბარსელონელმა რივალდომ. მან დევიდ ბექემი და ანდრეი შევჩენკო ჩამოიტოვა.

ბაბუნა კვიდა

ევროპის 2005 წლის სიმბოლური ნაკრები

ჩეხი
(ჩელსი)

ჯარაგერი
(ლივერპული)

ტერი
(ჩელსი)

მალდინი
(მილანი)

მაჯელელე
(ჩელსი)

ლამპარდი
(ჩელსი)

ჯერარდი
(ლივერპული)


ჟენინიო
(ლიონი)

რონალდინიო
(ბარსელონა)

შევჩენკო
(მილანი)

ანრი
(არსენალი)

„ოქროს ბურთის“ ყველა ფლობელი 1956-2005

1956	სტენლი მეტიუზი	ინგლისი
1957	ალფრედო დი სტეფანი	არგენტინა/ესპანეთი
1958	რაიმონ კოპა	საფრანგეთი
1959	ალფრედო დი სტეფანო	არგენტინა/ესპანეთი
1960	ლუის სუარესი	ესპანეთი
1961	ომარ სივორი	იტალია
1962	იოჟეფ მასოპუსტი	ჩეხოსლოვაკია
1963	ლევ იაშინი	სსრკ
1964	დენის ლოუ	შოტლანდია
1965	ეუსებიო	პორტუგალია
1966	ბობი ჩარლტონი	ინგლისი
1967	ფლორიან ალბერტი	უნგრეთი
1968	ჯორჯ ბესტი	ჩრდ. ირლანდია
1969	ჯანი რივერა	იტალია
1970	გერდ მიულერი	გფრ
1971	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია
1972	ფრანც ბეკენბაუერი	გფრ
1973	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია
1974	იოჰან კრუიფი	ჰოლანდია
1975	ოლეგ ბლოხინი	სსრკ
1976	ფრანც ბეკენბაუერი	გფრ
1977	ალან სიმონსენი	დანია
1978	კევინ კიგანი	ინგლისი
1979	კევინ კიგანი	ინგლისი
1980	კარლ ჰაინც რუმენგე	გფრ
1981	კარლ ჰაინც რუმენგე	გფრ
1982	პაოლო როსი	იტალია
1983	მიშელ პლატინი	საფრანგეთი
1984	მიშელ პლატინი	საფრანგეთი
1985	მიშელ პლატინი	საფრანგეთი
1986	იგორ ბელანოვი	სსრკ
1987	რუუდ გულიტი	ჰოლანდია
1988	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია
1989	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია
1990	ლოთარ მათეუსი	გფრ
1991	ჟან პიერ პაპენი	საფრანგეთი
1992	მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია
1993	რობერტო ბაჯო	იტალია
1994	ხრისტო სტოიჩკოვი	ბულგარეთი
1995	ჟორჟ ვეა	ლიბერია
1996	მათიას ზამერი	გერმანია
1997	რონალდო	ბრაზილია
1998	ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი
1999	რივალდო	ბრაზილია
2000	ლუიშ ფიგუ	პორტუგალია
2001	მაიკლ ოუენი	ინგლისი
2002	რონალდო	ბრაზილია
2003	პაველ ნედვედი	ჩეხეთი
2004	ანდრეი შევჩენკო	უკრაინა
2005	რონალდინიო	ბრაზილია

სარბიელი ⅝ კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		30 ნოემბერი						
23:45	1	ხანდერლენდი-ლივერპული	7.00	3.80	1.45	2.46	1.20	1.04
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		3 დეკემბერი						
19:00	36	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.30	4.40	8.00	1.00	1.11	2.83
19:00	38	დანდი იუნაიტედი-პიბრნიანი	3.50	3.10	1.95	1.64	1.25	1.19
19:00	40	მიხერეველი-ინვერნესი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:00	41	პართსი-ლივინგსტონი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
19:00	43	დანფერმლაინი-კილმარნოკი	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31
		4 დეკემბერი						
18:00	44	აბერდინი-სელტიკი	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		3 დეკემბერი						
18:30	61	შტუტგარტი-ბაიერნი	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
18:30	63	ვერდერი-დუისბურგი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
18:30	65	კაიზერსლაუტერნი-აინტრახტი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
18:30	66	დორტმუნდი-პანიკერი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:30	67	პაბერბერგი-კიოლნი	1.45	3.90	6.80	1.05	1.19	2.47
18:30	68	მონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.65	3.50	4.60	1.12	1.21	1.98
18:30	70	არმინია-შალკე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
		4 დეკემბერი						
20:30	71	მაინცი-ვოლფსბურგი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
20:30	72	ლეგერკუზენი-ჰერთა	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		3 დეკემბერი						
21:30	100	მატერსბურგი-აუსტრია	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
21:30	102	ადმირა-გრაცერი	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
21:30	104	რაპიდი-პაშინგი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
21:30	105	შტურმი-ტიროლი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		4 დეკემბერი						
18:30	106	რიდი-სალცბურგი	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		2 დეკემბერი						
22:30	113	ოუნი-იანგ ბოიზ	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
		4 დეკემბერი						
19:00	114	ციურიხი-ფერდინი	1.50	3.80	5.20	1.07	1.16	2.19
19:15	115	ბაზელი-გრასჰოპერი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
19:00	116	სტ.გალენი-ქსამაქსი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
19:00	117	აარაუ-შაფჰაუზენი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
		იტალია. სერია A						
		3 დეკემბერი						
21:00	127	კიეტი-მილანი	5.00	3.30	1.70	1.98	1.26	1.12
23:30	128	ინტერი-ასკოლი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
		4 დეკემბერი						
18:00	130	პალერმო-კალიარი	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
18:00	132	სამპდორია-ემპოლი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
18:00	133	ფიორენტინა-იუვენტუსი	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
18:00	134	ულინეზე-ლიგორნი	1.90	3.00	4.30	1.16	1.31	1.76
18:00	135	ტრევიზო-მესინა	2.45	2.90	2.90	1.32	1.32	1.45
18:00	136	რეჯინა-პარმა	2.00	3.00	3.90	1.20	1.32	1.69
18:00	137	ლაციო-ნეაპოლი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
23:30	138	ლეჩე-რომა	3.30	3.00	2.20	1.57	1.32	1.26
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
23:45	171	ბილბაო-ატლეტიკო	2.45	3.00	2.80	1.34	1.30	1.44
21:00	173	სელტა-ბეტისი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
23:00	175	რეალი-ხეტაფე	1.40	4.30	6.70	1.05	1.15	2.61
		4 დეკემბერი						
22:00	172	ვილიარეალი-ბარსელონა	3.65	3.10	2.00	1.67	1.29	1.21
23:45	176	სევილია-დეპორტივო	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
20:00	177	ალავესი-მალიორკა	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
21:00	178	მალაგა-თენერიფა	2.50	3.10	2.70	1.38	1.29	1.44
20:00	180	რასინგი-ხეხეიდალი	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
20:00	181	ესპანიოლი-ვალენსია	2.75	3.10	2.45	1.45	1.29	1.36
20:00	182	ლადონი-სარაგოსა	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
20:15	194	ლიონი-პსჟ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
23:00	195	სტრასბურგი-ხიმზი	2.45	2.90	2.80	1.32	1.30	1.42
23:00	196	ოსერი-ნანტი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
23:00	198	ანანი-ტრუა	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
23:00	199	მეცი-ტულუზი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
23:00	200	მონაკო-ლე შანი	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98
23:00	201	ბორდო-ლილი	1.95	3.00	3.80	1.18	1.28	1.67
		4 დეკემბერი						
21:00	202	რენი-ნიცა	1.85	3.20	3.90	1.17	1.25	1.75
23:45	203	ლანსი-სენტეტიენი	2.10	2.90	3.45	1.21	1.30	1.57
21:00	204	ნანსი-მარსელი	2.55	2.80	2.80	1.33	1.33	1.39
		ბელგია. I დივიზიონი						
		2 დეკემბერი						
23:30	216	ანდერლეხტი-გენტი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
		3 დეკემბერი						
21:00	218	შარლეროა-ლუვენი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:00	219	სტ.ტრუიდენი-ბრუსელი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
23:00	220	სტანდარდი-რუსელარე	1.30	4.40	7.50	1.00	1.10	2.77
23:00	222	ვესტერლო-ვარეგემი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
23:00	223	ბრიუგე-ბეერსხოტი	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13
23:00	225	ლოკერენი-სერკლი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
23:00	226	ლიერსი-ბრიუხელი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		4 დეკემბერი						
21:00	227	ბეგერენი-გენკი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		30 ნოემბერი						
23:00	462	ტვენტე-ჰარლემი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23.00	463	ნაიმეგენი-ჯელბერგი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
23:00	464	ბრედა-გრონინგენი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		2 დეკემბერი						
23:45	269	პორტუ-სპორტინგი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
		3 დეკემბერი						
23:45	270	ფარიტიმუ-ბენფიკა	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33
23:15	274	ბელენენსეში-ნასიონალი	2.70	3.10	2.40	1.44	1.27	1.35
		4 დეკემბერი						
20:00	271	რიო ავე-ფეირეირა	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
20:00	272	ამადორა-ეიელ ვისენტე	2.20	3.00	3.20	1.26	1.30	1.54
21:30	276	ბიავეშტა-პენაფიელი	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
23:45	277	ბრაგა-სეტ�ბალი	1.75	3.40	4.10	1.15	1.22	1.85
20:00	278	ნავალი-ფალეენსია	2.15	3.10	3.10	1.26	1.26	1.54
		5 დეკემბერი						
23:45	273	გიმარაეში-ლეირია	2.00	3.10	3.40	1.21	1.25	1.62
		სლოვაკეთი						
		30 ნოემბერი						
16:30	334	ლუბლიანა-ბანსკა ბანკა	2.20	2.90	3.00	1.25	1.26	1.47
16:30	335	პეტრჩელა-ინტერი	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
16:30	336	ჰეხოვი-ნიტრა	2.45	3.00	2.65	1.34	1.27	1.40
16:30	337	რუჟომბერიკი-ტრენჩინი	1.60	3.50	4.70	1.09	1.19	2.00
20:30	338	ჟილინა-ტრნავა	2.00	3.00	3.30	1.20	1.24	1.57
		დანია. სუპერლიგა						
		3 დეკემბერი						
20:00	355	მიდტიუელანდა-ოლბორგ	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
		4 დეკემბერი						
18:00	356	კოპენჰაგენი-ეიბორგი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
18:00	357	ხალკბერგი-ოლბორგი	2.70	3.40	2.35	1.50	1.25	1.38
18:00	358	ალბორგი-ორჰუსი	2.70	3.00	2.50	1.42	1.29	1.36
18.00	359	ნიუნდერბიკე-ესბიერგი	2.90	3.40	2.20	1.56	1.25	1.33
20:30	360	ნორდსიელანდი-ბრონდბიუ	3.60	3.30	1.85	1.72	1.22	1.18
		მექსიკა						
		30 ნოემბერი						
23:45	471	ტეკოსი-ატლეტი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
23:45	472	პაჩუკა-ნეკახა	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		1 დეკემბერი						
23:45	473	ტოლუკა-ჯუარეზ ასული	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
23:45	474	ტიგრესი-ატლეტა	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
		უეფას თასი						
		30 ნოემბერი						
23:45	400	ძალბი(ფო)-ლიეფმ ტიეი(ს)	4.80	3.50	1.65	2.02	1.22	1.12
23:45	401	სტიაუა-ალაბსტადი	1.20	5.30	12.00	1.00	1.09	3.67
23:45	402	გრასჰოპერი-დინამო	1.45	4.00	6.00	1.06	1.16	2.40
23:45	403	ლოკომოტივი-ალკმაარი	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
23:45	404	ბრიონდბიუ-ესპანიოლი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
23:45	405	სამპდორია-ჰერტა	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
23:45	406	სლავია-ფონიკი	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
23:45	407	ცსკა(ბულ)-ვიტესი	1.65	3.50	4.70	1.12	1.22	2.00
		1 დეკემბერი						
23:45	408	ცრვენა ზვეზდა-რომა	3.45	3.10	2.10	1.63	1.30	1.25
23:45	409	ბანიოლეტრიესტინი	1.45	3.90	6.50	1.05	1.18	2.43
21:30	410	ლეგია-პარიზელი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
21:30	411	დინამო(ბქ)-ცსკა(ს)	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
23:45	412	რაპიდი(ბ)-ბაიერ	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
23:45	413	ფენი-ეინტრაბი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
23:45	414	ხეფეკეია-გაბარაკეი	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
23:45	415	ბეშიქთაში-ჩენიტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		ინგლისი. თასი						
		30 ნოემბერი						
23:45	418	ნარლეტონი-ბლეკბერნი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	419	მიდლსბრო-კრ. პალასი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
23:45	420	ბოლტონი-ლესტერი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:45	421	უოტფორდი-ნიუკასლი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
23:45	423	მანჩესტერი-უესტ ბრომიჩი	1.50	3.60	6.30	1.05	1.21	2.29
		ესპანეთი. თასი						
		30 ნოემბერი						
23:45	448	ალკი

საქართველოს ჩემპიონატი

შვილებს გეფიცებით, გარბენი იყო...
ნორჩ დინამოელს ხელი აუკანკალდა

29 ნოემბერი. ვერის ბაღი

სსუ 81:88 ქუთაისი
20:16 20:29 18:23 23:20

სსუ: თორთლაძე (28), პატარაია (9), ბენდიანიშვილი (2), ჯგერენაია (4), ლ. ნოზაძე (7); მეტრეველი (11), გოლეთიანი (10), ონიკაშვილი (8), ქვილითაია (2), მოდებაძე, ჯიქია
ქუთაისი: გ. ლოსაბერიძე (15), ნიჟარაძე (24), ცერცვაძე (7), მამასახლისი, კოლუაშვილი (32); ნარსია (8), ნ. შანიძე (2), პირტახია
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

სტუ 94:90 დინამო
27:20 20:24 21:23 26:23

სტუ: მიქაძე (8), ხეცურიანი (18), ლ. ლოსაბერიძე (2), ლ. შანიძე (20), მათიაშვილი (6); კეიდია (10), ნინუა (9), გაგნიძე (12), ათანელიშვილი (2), მურჯიკნელი (7)
დინამო: წივწივაძე (2), მაისურაძე (21), ლაფანაშვილი (6), ძიძიგური, სუხიშვილი (28); გულისაბედაშვილი (22), ბადრიძე (8), დერიუგინი (3)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურიძე

ავიამშენი 121:57 მაკაბი
31:16 23:19 23:9 44:13

ავიამშენი: ნიკოლაძე (28), ბ. ბერიშვილი (11), ორმოცაძე (4), ჩხატარაშვილი (6), ბ. ნოზაძე (10); დ. ბერიშვილი (21), წოწელია (6), მარკოიშვილი (19), ნინიაშვილი (12), მინაშვილი (4)
მაკაბი: ჩერქეზიშვილი (5), დოლიძე (6), ვაშაკიძე (9), აბულაძე (6), გ. შერმადინი (20); კორკოტაძე (8), ფიცხელაური (3), ს. შერმადინი, ხორავა
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: თერგიზ ქიქოძე

ირაკლი პერტაია

თითქოს არაფრის მომასწავლებელი ჩანდა ეს ტური, თუმც ისეთი მატჩები გამოერია, თქვენი მოწონებული. რუსთავში ხომ დრამატული ბრძოლა იხილეს და არც თბილისში იყო ბევრად ნაკლები. შესაძლოა, თამაშის სცენარით „ქუთაისისა" და სსუ-ს შეხლა „დინამო" — სტუ-ს ვერ შეედაროს, მაგრამ ვნებათაღელვა ახლდა ისეთი, გაფიქრებინებდათ, მოსისხლე მტრები შებმიან ერთმანეთსო.

აუტსაიდერები უძახე შენ და, სოხუმელ-ქუთათურთა მატჩმა გვარიანი აჟიოტაჟი გამოიწვია. ორივე გუნდიდან თითო მოთამაშე გააძევეს, კინკლაობა და გაწევ-გამოწევაც იყო, ხოლო ბილწსიტყვაობას ვერ დაითვლიდით. ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ორმა მაჩანჩალამ ერთმანეთი დაჭამა, გამარჯვებისთვის არაფერზე დაიხია უკან და ამ ორომტრიალში მოგებული, საბოლოოდ, „ქუთაისი" გამოვიდა.

უცნაური ისაა, რომ უწესრიგობა, ძირითადად, იმ დროს დაემთხვა, ქუთათურები გვარიანად რომ გაიჭრნენ წინ. როცა ანგარიში თანაბარი იყო, მოედანზე მშვიდობა სუფევდა.

თავდაპირველად შფოთისთავობა სოხუმელმა ვაჟა მეტრეველმა ითავა, როცა მას მსაჯებმა შეტევაში გარბენი დაუფიქსირეს და ამაზე აღელვებულს ტექნიკური ჯარიმაც „გამოუწერეს". მეტრეველი ამან უფრო გააბრაზა და სათადარიგოებში დაჯდომის ნაცვლად, სკამს ფეხი ამოსცხო და სადღაც გააფრინა. მაკა კუპატაძემ მას დაუყოვნებლივ მისცა დისკვალიფიკაცია და გასახდელის გზაზე გინებით მიმავალმა მეტრეველმა კიდევ რაღაც საგანს ამოსცხო წიხლი.

საქმის გარჩევა კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდა და მატჩის არბიტრ ხათუნა გაბედავას განწირული სიტყვებით დასრულდა — შვილებს გეფიცებით, გარბენი იყოო.

ეს ამბები თამაშის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე მოხდა, როცა ქუთაისელები 10 ქულით ლიდერობდნენ და გიორგი ნიჟარაძემაც რამდენიმე ქულა რომ მიითვალა, სოხუმელთა საქმეც მოთავდა. თუმც სად ხარ, მერე უარესი მოხდა: სოხუმელთა საჯარიმოსკენ დაძრულ ნიჟარაძეს ლაშა ონიკაშვილმა კვანტი დაუდო და მოთამაშეთა შორის ხალხი რომ არ ჩამდგარიყო, მუშტი-კრივი გაჩაღდებოდა.

მოშულარებმა ხელჩართული არა, მაგრამ სიტყვიერი ბრძოლა გააჩაღეს და განსაკუთრებულად სიტყვამრუდი ნიჟარაძე თამაშიდან გაძევდა.

ამ გაწევ-გამოწევამდე ერთი კომიკური ეპიზოდი გათამაშდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ სოხუმელები დაბნეულები იყვნენ.

სს-ს ფორვარდმა გიორგი ჯგერენაიამ მეოთხე ათწუთეულში მეხუთე ჯარიმა მიიღო და თამაში დატოვა. შეხვედრის დასრულებას ორიოდ წუთი აკლდა, როცა ეს კალათბურთელი კვლავ მოედანზე გამოჩნდა და მსაჯების გამჭრიახმა თვალმა სოხუმელი მწვრთნელის ეს იაღლიში მყისვე დააფიქსირა.

გაწევ-გამოწევაში ვინ აჯობა, ვერ გავარკვიეთ, აი, თამაშში კი ქუთათურებმა იძალეს. ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა იმერლების ლიდერმა, ვიქტორ კოლუაშვილმა, როგორც იქნა, გაშალა ფრთები და სოხუმელთა ფარქვეშეთში იმერლების ჰეგემონია დაამყარა.

ამ სკანდალური მატჩის შემდეგ ბევრად დაძაბული შეხვედრა გახურდა, თუმცა „დინამომ" და სტუ-მ ისე ჩაამთავრეს თამაში, მოედანზე საგიჟიშო არაფერი მომხდარა.

ცხრილში კი გვერდიგვერდ არიან, მაგრამ „დინამოსა" და სტუ-ს შორის ერთი ისეთი განსხვავებაა, რაც სპორტის ნებისმიერ სახეობაში უმნიშვნელოვანესია და ამ მატჩშიც სწორედ ამის ხარჯზე დაჯაბნა ერთმა მეორე. სტუ მოქმედი ჩემპიონია და არაერთი გამოცდილი მოთამაშე ჰყავს, დინამოელები კი თითქმის სულ ახალგაზრდებით არიან დაკომპლექტებულნი და, შესაბამისად, გადამწყვეტ მომენტში ძნელად სანდონიც. სწორედ თამაშის ბოლოს აუკანკალდათ [illegible] ქისტიაშვილის შეგირდებს [illegible] კიდეც, თორემ მეტოქეს არც მიზანში ჩამორჩნენ, არც თამაშის ორგანიზებაში და არც სისწრაფეში.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სტუ-ს ყველაზე ბასრ იარაღად კონტრშეტევა ითვლებოდა. ტექნიკოსებმა დაკარგეს ფეხმარდი უკანახაზელები და ახლა, ძირითადად, მაღლების იმედად არიან. ამიტომაც იყო, სტუ-ელთა დიდი ჯახირით მოპოვებულ უპირატესობას დინამოელები სწრაფად რომ აბათილებდნენ. რომელი ერთი გავიხსენოთ... 20:32 ჩამორჩენილებმა ერთი მონაკვეთი 11:0 მოიგეს და ტექნიკოსებს ქულით მიუახლოვდნენ. ერთხელაც, მესამე მეოთხედის შუაწელში, როცა სტუ-მ 11-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა, დინამოელებმა ელვისებური კონტრშეტევებითა და ზუსტი სამქულიანებით 4-წუთიანი ეპიზოდი 14:0 გათელეს მეტოქე და გალიდერდნენ.

„დინამოს" რომ ემარჯვა, თამაშის გმირი გიორგი გულისაბედაშვილი გახდებოდა, რომელმაც მეორე ტაიმიდან დაიწყო ქულების ხვეჭა და სულ 22 დაუგროვდა. მატჩის ბომბარდირი ლადო სუხიშვილი კი უფრო შავ სამუშაოს ასრულებდა, ფარქვეშ მეტოქის მაღლებს ებრძოდა და დაცვაზე უკეთ შეტევაში ჩაუქობდა.

ასე კატათაგვობანაში მოატანა ფინალმაც და ოდნავ ჩამორჩენილი „დინამო" ერთხელაც გაუთანაბრდა მეტოქეს. სირენამდე ორი წუთით ადრე შეცვლაზე გამოსულმა ნიკოლოზ დერიუგინმა უმცროსმა ეფექტური ორქულიანით ანგარიში 86:86 გაათანაბრა და რამდენიმე წამში თავისიანთა დაწინაურების რეალური შანსი გაუცუდდა — ფარქვეშ ეულად მდგარმა ვერ ჩააგდო.

მომდევნო შეტევაში შიო ხეცურიანმა ორქულიანი მიითვალა, დერიუგინს კი კვლავ აუკანკალდა ხელი — ამჯერად საჯარიმოს ხაზიდან და ორივე ტყორცნა გააცუდა. აი, ტექნიკოსთა არაერთ ფინალგამოვლილმა მოთამაშეებმა — შანიძემ და კეიდიამ — კი წარბშეუხრელად გაისროლეს სამქულიანები და სტუ-ს საჭირო გამარჯვება მოუხვეჭეს.



დინამოელ ლადო სუხიშვილს (მარცხნივ) ფარქვეშ დიდი ჯაფა დაადგა

ამხნევებმა იმხნევებს რომ აგინეს...

29 ნოემბერი. რუსთავი

აზოტი 69:71 თსუ-ნიკორა
12:18 28:14 16:20 13:19

აზოტი: ჟღენტი (19), ლიპარტელიანი (16), გოგობერიშვილი (6), ჭოჭუა (5), დანელიანი (10); არწივიძე (7), გოგსაძე (3), კურტანიძე (3), ცეკვავა
თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (11), ლეჟავა (9), საყვარელიძე (3), ტყეშელაშვილი (10), სანიკიძე (2); მარხვაშვილი (17), კეშელავა (9), ვეფხვაძე (8), მ. ბერიშვილი (1), მაისურაძე (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

ირაკლი ფირაშვილი

თამაში იქით იყოსო, ამის თქმის დიდი სურვილი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეათასედ დაწერილს ათასმეერთედ გაკითხებთ. სადაც თამაშია, სადაც ბურთი და მოედანია, იქ აყალმაყალი და გაწევ-გამოწევაც „მონატრებული" ლოთი მეზობელივით შეივლის, აურ-დაურევს და თან იმასაც დაიბარებს, კიდევ მოვალო. ასეთი „სანახაობა" რუსთავშიც არაა იშვიათი — გინება ტრიბუნებიდან, გინება მოედანზე, დაბნეული მსაჯები და უსარგებლო განსჯა ჩხუბის თანხლებით მოგებული თუ წაგებული თამაშის შემდეგ. უდისციპლინობა რბილ და შეუფერებელ სიტყვად იქცა და დომხალის დასახასიათებლად.

არ მთავრდება! და თუ დამთავრდა, მომდევნო თამაშს პირვანდელივით წამურდლავს ეს სენი. მსაჯების არაპრინციპულობის ბრალია ეს ყველაფერიო, ბევრისგან გვესმის და თავდაც ვხედავთ, მაგრამ ისიც ჩანს, ბევრი ვაიმაყურებელი თამაშზე მხოლოდ მსაჯის საგინებლად რომ მოდის და სულ არ აინტერესებს, „მისი" გუნდი აცილებული ტყორცნის გამო წააგებს, თუ მსაჯის შეცდომით.

შეიძლება ზაზა მაჩალაძე არის კიდეც ერთადერთი პრინციპული მსაჯი ქართულ კალათბურთში, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას. პრინციპულობა პრინციპულობად, მაგრამ რა ვუყოთ შეცდომებს?

ჯერ კიდევ პირველი მეოთხედის მიწურულს თსუ 18:12 იგებდა, რუსთაველებმა ბოლო წამებზე სამქულიანი ჩააგდეს და ატყდა კამათი, ის ბურთი სირენამდე იყო ნატყორცნი თუ სირენის შემდეგ. ჯერ ჩაითვალა 3 ქულა, შემდეგ არა და მსაჯთა მაგიდასთან შეთანხმებით, არბიტრებმა თავიდან „გაათამაშეს" ის ბოლო 3 წამი.

ამ თითქმის ინციდენტის შემდეგ მატჩი მშვიდად გაგრძელდა, მეორე მეოთხედში რუსთაველებმა სტუმრებს ლიდერობა ჩამოართვეს და მესამე 10-წუთეულის დასაწყისში გეგი ლიპარტელიანის სამქულიანის შემდეგ 11 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ შემდგომი 6-წუთიანი მონაკვეთი თსუ-მ 16:5 მოიგო და 48:48 გაათანაბრა. „აზოტმა" მაინც მოახერხა წინ გასვლა და მატჩის დამთავრებამდე 1,21 წუთით ადრე 6 ქულითაც დაწინაურდა — 69:63.

ეს წუთზე ოდნავ მეტი დრო ლამის 15 წუთამდე გაიწელა და „აზოტის" დამარცხებით დამთავრდა. კი დაუშვეს მსაჯებმა შეცდომები, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად.

სირენამდე 44 წამით ადრე ირაკლი ბერიშვილმა წყვილი საჯარიმოთი 4 ქულამდე შეამცირა სხვაობა და ეს ნაღდად არ მოხდა მსაჯის შეცდომის გამო. 29-ე წუთზე რუსთაველებმა შეტევაში უაზროდ დაკარგეს ბურთი (რა შუაშია ბერეკაშვილი?) 19 წამით ადრე ლაშა კეშელავას სამიანიც არ იყო მაჩალაძის ან ბერეკაშვილის „შეცდომა". მსაჯებს ის შეეშალათ, გაერკვიათ, კეშელავამ ორიანი ჩააგდო თუ სამიანი. და სანამ ამას არკვევდნენ, რუსთაველმა ლიპარტელიანმა და თბილისელმა ლეჟავამ ერთმანეთზე გაიწიეს. მოედანი ხალხით გაივსო, თამაში ბარე 10 წუთით შეწყდა და ასე განახლდა: კეშელავას ჩაგდებული ჩაითვალა 2 ქულად (69:67 „აზოტი" იგებს) და ლეჟავას ნაცვლად შემოსულ ირაკლი მაისურაძეს ებოძა ორი საჯარიმოს ტყორცნის უფლება — რჩება კვლავ 19 წამი. მაისამ პირველი ჩააგდო, მეორე კი ააცილა და ბურთი თბილისელებმა მოხსნეს. ისევ კეშელავამ ივაჟკაცა, 4 წამით ადრე ბურთიც ჩააგდო და ჯარიმაც და თსუ საბოლოოდ დააწინაურა — 71:69.

რუსთაველებმა უკვე მერამდენედ წააგეს თითქოს მოგებული თამაში!

რაც შეეხება ჩხუბს, ნამატჩევს გაწევ-გამოწევა აღარ ყოფილა, ზოგადად ჩხუბის შემდეგ ხელებს ხომ აღარ იქნევენ.

ლაშა კეშელავა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

დენვერს ქვა ალმართში დაეწია



კარმელო ენტონის ამ ტრავმამ „დენვერი“ წელში გატეხა

28 ნოემბერი

ტორონტო 91:93 დალასი

ტორონტო: ბოში (26 ქულა, 10 მოხსნა), ჯეიმსი (22 ქულა, 5 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი), ტერი (26 ქულა, 6 პასი), ჰარისი (16 ქულა)

მაიამი 107:94 ნიუ იორკი

მაიამი: უეიდი (33 ქულა, 5 პასი), პოუზი (19 ქულა), მოურნინგი (9 ქულა, 7 მოხსნა, 9 დაფარება).
ნიუ იორკი: მარბერი (19 ქულა, 6 პასი), ნ. რობინსონი (16 ქულა), კროუფორდი (13 ქულა)

ბოსტონი 83:87 ორლანდო

ბოსტონი: რ. დევისი (22 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი), პირსი (16 ქულა, 13 მოხსნა), ვესტი (11 ქულა, 5 მოხსნა)
ორლანდო: ფრენსისი (19 ქულა, 7 პასი), ნელსონი (16 ქულა), სტივენსონი (11 ქულა)

დენვერი 92:101 ნიუ ჯერსი

დენვერი: მარტინი (26 ქულა, 7 მოხსნა), ბოიკინსი (24 ქულა), ა. მილერი (10 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)
ნიუ ჯერსი: კარტერი (25 ქულა, 6 მოხსნა), ჯეფერსონი (24 ქულა, 6 მოხსნა), კიდი (13 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი)

გოლდენ სტეიტი 99:83 ნიუ ორლეანი

გოლდენ სტეიტი: ჯ. რიჩარდსონი (17 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი), ბ. დევისი (17 ქულა, 9 პასი), მერფი (16 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ ორლეანი: პოლი (15 ქულა), ვესტი (14 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (10 ქულა, 6 მოხსნა)

„დენვერ ნაგეთსს“ წლეულს ნამდვილად არ უმართლებს. გუნდმა ვერაფრით ვერ შეკრიბა ოპტიმალური შემადგენლობა. ჯერ იყო და სეზონისწინა სავარჯიშო ბანაკში მიიღეს ტრავმები ბრაიონ რასელმა, ნენე ილარიომ და ფრანსისკო ელსონმა. შემდეგ ამ სიას შარშან დიდი ზარ-ზეიმით გადმოყვანილი კენიონ მარტინი დაემატა. თუმც გუნდის ლაზარეთი ნელ-ნელა დაცარიელდა, მარტინიც დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ რად გინდა, გუშინდელ შეხვედრაში კარმელო ენტონიმ დაიშავა მუხლი, რომლის მონაგარიც აქამდე საშუალოდ 21 ქულა და 6 მოხსნა იყო.

მსაჯებთან მოკამათე კენიონ მარტინი

საბედნიეროდ, ეს ტრავმა არცთუ სერიოზული უნდა იყოს და, „დენვერის“ მწვრთნელი ჯორჯ კარლის თქმით, იგი ალბათ მხოლოდ ორსამ თამაშს გამოტოვებს.

ენტონის გარეშე, რომელიც გასახდელში უკვე მეორე წუთზე გაიყვანეს, „დენვერმა“ ვერაფერი გააწყო „ნიუ ჯერსის“ წინააღმდეგ და შინაურ „პეპსი ცენტრში“ ზედიზედ მოგებული 6 მატჩის შემდეგ პირველად დამარცხდა.

„ნიუ ჯერსის“ რიგებში კი ჩვეულად ძლიერად იასპარეზა ვინს კარტერმა, რომელმაც 25 ქულა მოაგროვა. ამას რიჩარდ ჯეფერსონმა 24 დაუმატა.

აქტიური იყო ჯეისონ კიდიც, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდება თავის საუკეთესო კონდიციებს და ბოლო მატჩებში მოედანზე საშუალოდ 40 წუთს ატარებს.

„დენვერის“ რიგებში კი თავი მარტინმა გამოიდო, რომელმაც თავის ყოფილ გუნდს 26 ქულა „მიუძღვნა“. მისი აქტიურობის წყალობით „დენვერს“ მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა, თუმცა მერე ერთობ გადააჭარბა — ფინალურ სირენამდე ორიოდე წუთით ადრე, როცა ანგარიში 93:87 იყო, მარტინი ვინს კარტერზე დაჯარიმდა და მსაჯის გადაწყვეტილება საკმაოდ ემოციურად გააპროტესტა, რის გამოც მას ზედ ტექნიკურიც დაუმატეს. თავის კალათბურთელს ჯორჯ კარლი გამოექომაგა და მსაჯებმა ისიც ტექნიკური ჯარიმით „დაჯილდოვეს“. მარტინმა ვერც ამის შემდეგ მოისვენა და რეფერისთან კამათი გაგრძელა, რასაც მეორე ტექნიკური და შესაბამისად გაძევება მოჰყვა, კარტერმა კი მშვიდად და ზუსტად შეასრულა 5 საჯარიმო და „ნიუ ჯერსიმაც“ ადვილად მიიყვანა ეს მატჩის გამარჯვებამდე.

„ნიუ ჯერსისთვის“ მისი არსებობის განმავლობაში ეს 999-ე გამარჯვება გახლდათ და კიდს და კომპანიას უკვე შემდეგივე მატჩშივე შეუძლიათ, ისტორიაში შეაბიჯონ.

მოიგო თავისი მორიგი შეხვედრა „დალას მეერიქმა“, თუმც ტეხასელებს ძალიან გაუჭირდათ ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ტორონტოს“ დამარცხება. მეორეს მხრივ, „დალასის“ ასეთი ასპარეზობაც ბუნებრივი იყო — ჯერ ერთი, გუნდს სეზონის დასაწყისიდანვე არ ჰყავს ჯერი სტეკჰაუზი, ცოტა ხნის წინ არა თუ „დალასს“, საერთოდ კალათბურთს დაემშვიდობა წლეულს გუნდის უმოავრესი შენაძენი დაგ კრისტი, ხოლო შაბათს „მემფისთან“ წაგებული მატჩისას კი სასტარტო ხუთეულის კიდევ ერთი წევრი — ჯოშ ჰოვარდი დაშავდა. აქედან გამომდინარე, ტეხასური გუნდის ცუდი თამაში დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა.

„დალასმა“ ძალიან ცუდად დაიწყო შეხვედრა და მოწინააღმდეგე თავიდანვე წინ გაუშვა. პირველ ნახევარში ძალზე ცუდად ითამაშა გუნდის ლიდერმა, გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ, მაგრამ ბოლო მეოთხედში გაიბრწყინა, საბოლოოდ 29 ქულა მოაგროვა და ზედ 11 მოხსნაც დაურთო. ტეხასელთა შორის გამოირჩეოდა გამთამაშებელი ჯეისონ ტერიც, რომელმაც მთლიანობაში გუნდს 26 ქულა შემატა.

„ტორონტო“ კი ახლოს იყო სეზონში მეორე გამარჯვებასთან, მაგრამ მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ამუშავდა ტეხასური გუნდის გერმანული ბომბდამშენი, რომელმაც ზედიზედ სამი 3-ქულიანი ჩაადო და ანგარიში გაათანაბრა. 89-89. ამის შემდეგ იგივე ნოვიცკიმ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და თავისი გუნდი ორი ქულით დააწინაურა, მაგრამ კანადელებმა, კერძოდ კი მეტ ბონერმა, მატჩის დასასრულამდე 2 წამით ადრე შეძლო ანგარიშის კვლავ გათანაბრება და თითქოს ოვერტაიმიც უნდა დანიშნულიყო. თუმც ასე არ ფიქრობდა ჯეისონ ტერი, რომელმაც დროის ამ მცირეს მონაკვეთში მაინც მოახერხა გადამწყვეტი 2-ქულიანის ჩაგდება და თავის გუნდს წლეულს მე-10 გამარჯვება მოუტანა.

სხვა თამაშებიდან გამოსაყოფია შაკილ ონილის გარეშე დარჩენილი „მაიამის“ მორიგი გამარჯვება, რომელსაც კვლავ დუეინ უეიდმა ულიდერა თავის 33 ქულით. ვეტერანმა ცენტრმა ალონზო მოურნინგმა კი წლეულს სარეკორდო, 9 დაფარება ჩაიწერა აქტივში.

ძახა ლომაჯვილი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

არწივი მეორე საფეხურზე აფრინდა

28 ნოემბერი

ფლორიდა 1:2 ტორონტო

0:0 1:1 0:1

0:1 ტაკერი (32), 1:1 უაისი (39), 1:2 მაკეიბი (51)

ტორონტოს მეკარე ედ ბელფორი ორბაშათს ლიგის ისტორიაში შევიდა. „ფლორიდასთან“ გამარჯვების შემდეგ ეს „არწივად“ შერაცხული კაცი 447 მოგებით ლეგენდარულ ტერი სავჩუკს გაუტოლდა და ნჰლ-ის ყველაზე წარმატებული მეკარეების სიაში მე-2 ადგილზე აღზევდა. 40 წლის ბელფორმა ამ მატჩში 32 დარტყმა მოიგერია.

აღსანიშნავია, რომ სავჩუკი მთელი კარიერის განმავლობაში „ტორონტოს“ ღირსებას იცავდა და გუნდის იმ შემადგენლობაში იყო, რომელმაც კანადური კლუბის ბოლო სტენლის თასი მოიგო 1967 წელს.

„მე ყველაფერი ვიცი სავჩუკის შესახებ, მისი ბიოგრაფია წაკითხული მაქვს და მიმაჩნია, რომ ნამდვილი მებრძოლი და მამაცი კაცი იყო. როგორია, თითქმის კარიერის ბოლომდე უნიღბოდ ასპარეზობდა“,— თქვა ნამატჩევს ბელფორმა.

ლოს ანჯელესი 2:5 დეტროიტი

0:0 1:3 1:2

0:1 ჩელიოსი (25), 1:1 კორვო (28), 1:2 შნაიდერი (30), 1:3 აიზერმანი (34), 1:4 ზეტერბერგი (56), 1:5 ლიდსტრიომი (59), 2:5 ეფერი (59)

როგორც ჩანს, „ლოს ანჯელესისთვის“ ჯერჯერობით ნაადრევია დასავლეთში დაწინაურებაზე ფიქრი. წყნარი ოკეანის დივიზიონში ერთპიროვნულ ლიდერად ქცეული კალიფორნიული კლუბი თუ ამ მატჩს მოიგებდა, კონფერენციის ლიდერ „დეტროიტთან“ ერთ ქულამდე შეამცირებდა სხვაობას, მაგრამ... გულახდილად რომ ვთქვათ, „ლოს ანჯელესმა“ ეს თამაში პირწმინდად წააგო. ერთადერთი საეჭვო მომენტი მაშინ იყო, როცა ჯო კორვომ ბულიტი გამოიყენა და გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მომდევნო ექვს წუთში მეტიუ შნაიდერმა და სტივ აიზერმანმა ორჯერ გამოიყენეს რიცხვმრავლობა და გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

სპეცას სპეციალური კვირა

ოტაველმა ჯეისონ სპეცამ ეს სეზონი საკმაოდ კარგად რომ დაიწყო, ამაზე არაერთხელ ითქვა. დანიელ ალფრედსონის და დანი ჰიტლის სამეულში ცენტრად მოთამაშე სპეცამ ლიგაში ერთ-ერთი თუ არა, ყველაზე საუკეთესო ტრიო შექმნა. აქედან ყველაზე შედეგიანი ალფრედსონი იყო, მაგრამ გასულ კვირაში საუცხოო ასპარეზობის წყალობით სპეცა დაეწია პარტნიორს და მასთან, იაგრსა და ფორსბერგთან ერთად ბომბარდირთა დავის საუკეთესო კვარტეტი ჩამოაყალიბა. სამ თამაშში სპეცამ 8 (4%4) ქულა მოაგროვა, საუკეთესო კი მისთვის ბოსტონთან (4:2) შეხვედრა გახდა, რომელშიც 2 გოლი და 2 პასი მიითვალა.

საინტერესოა, რომ სპეცას სამივე კონკურენტი რუსი იყო — ალექსანდრ ფროლოვი, ვიქტორ კოზლოვი და ილია კოვალჩუკი. საუკეთესო დამცველის მოთამაშის წოდება კი ახალბედა ედმონტონელ მეკარე მაიკ მორისონს ერგო, რომელმაც სამ თამაშში მხოლოდ 5 შაიბა გაუშვა და სამივე მოაგებინა გუნდს.

ბომბარდირები: იაგრი (რეინჯერსი) 39(21+18); ალფრედსონი (ოტავა) 39(19+20), სპეცა (ოტავა) 39(10+29); ფორსბერგი (ფილადელფია) 39(8+31); ჰიტლი (ოტავა) 37(17+20); სავარი (ატლანტა) 35(10+25); განე (ფილადელფია) 34(21+13); კოვალჩუკი (ატლანტა) 34(17+17), სტაალი (კაროლინა) 34(16+18); დემიტრა (ლოს ანჯელესი) 34(12+22); პროსპალი (ტამპა) 33(13+20); მაკეიბი (ტორონტო) 33(10+23); ტორნტონი (ბოსტონი) 32(9+23), ფროლოვი (ლოს ანჯელესი) 31(13+18)

სამველ ღარიბიანი



AFP ლოს ანჯელესიდან

პაველ დაციუკის (13) „დეტროიტმა“ „ლოს ანჯელესი“ წლეულს მესამედ დასცა

ფედერერი და დანარჩენები



როჯერ ფედერერი

რაფაელ ნადალი

ფედერერი

შვეიცარიელმა წლეულს მართლაც დიდებული სეზონი ჩაატარა. მან გასული წელიც რეიტინგის სათავეში ჩაამთავრა და შარშანაც ყველა აღიარებდა იმას, რომ ფაქტობრივად ერთი თავით მაღლა იდგა სხვა მოთამაშეებზე, წლევანდელმა სეზონმა კი დაამტკიცა ეს ყველაფერი.

რაც მთავარია, შვეიცარიელმა უფრო ირწმუნა საკუთარი ძალების. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ნებისმიერი შემთხვევიდან და ვითარებიდან ცდილობდა შეტევას. ამის გამო ფედერერი უფრო მეტ უნებლიე შეცდომას უშვებდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი მატჩები საინტერესო გახდა.

ძნელი წარმოსადგენი კი იყო, მაგრამ შვეიცარიელმა საკუთარი თამაშის გარკვეული კომპონენტები გაუმჯობესა კიდეც. ის უფრო სწრაფად გადაადგილდება კორტზე და ფორჰენდიც უკეთ გამოსდის. რაც მთავარია, მან წლეულს დაგვანახა, რომ არა მარტო დიდი ჩოგბურთელი, არამედ კარგი მებრძოლიცაა. თუნდაც მაიამის მასტერსის ფინალი რად ღირს რაფაელ ნიდალთან, რომლის დროსაც მას ორი სეტი წაგებული ჰქონდა და მესამეს 5:3 აგებდა, მაგრამ მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება.

უკვე კარგა ხანია, ამბობენ, რომ მას სუსტი წერტილი არა აქვს. ფაქტობრივად ერთნაირად ძლიერად თამაშობს უკანა ხაზზეც და ბადესთანაც (ამიტომ ასპარეზობს კიდეც უიმბლდონზე განსაკუთრებით კარგად) და, რაც მთავარია, მეტოქეს უსპობს შეტევის წამოწყების არეალს, ვინაიდან ფორჰენდზე არანაკლებ ძლიერი ბექჰენდი აქვს. ერთადერთი, რაც შვეიცარიელისთვის დიდ პრობლემად რჩება, მისი ფიზიკური მომზადებაა. ეს თავს იჩენს ხოლმე 5-სეტიან მატჩებში. თუნდაც წლეულს მან ორჯერ წაგო ასეთი დაპირისპირება და მხოლოდ უკვე ნახსენებ მაიამის მასტერსის ფინალში მოუგო რაფაელ ნადალს.

რაც შეეხება წლიურ მონაგარს, ფედერერმა დიდი მუზარადის ორი ტურნირი — უიმბლდონი (ზედიზედ მესამედ) და აშშ-ს ღია პირველობა (მეორედ), მასტერსის სერიის ოთხი (მაიამი, ინდიან უელსი, ჰამბურგი, ცინცინატი) და ATP-ის რანგის 5 ტურნირი (როტერდამი, დოჰა, დუბაი, ჰალე, ბანგკოკი) მოიგო. ის ასევე იყო ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობების ნახევარფინალებში და მასტერსის თასის ფინალში.

გარდა ამისა, სეზონის მეორე ნახევარში 35-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და სეზონი დიდებული მაჩვენებლით დაამთავრა — 81 მოგება და 4 წაგება.

წლის სენსაცია

ამ სეზონის ნამდვილ სენსაციად 19 წლის ესპანელი, რაფაელ ნადალი მოგვევლინა. ის პირდაპირ ქარიშხალივით შეიჭრა ჩოგბურთის ელიტაში. მის ნიჭსა და შესაძლებლობებზე რამდენიმე წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, რაც წლეულს ნადალმა ასი პროცენტით დაამტკიცა.

რა იყო ნადალის ასეთი წარმატების მიზეზი? პირველ ყოვლისა — მისი უაღრესად მებრძოლი ბუნება.

კიდევ ერთი სეზონი ბარდება ისტორიას. მასტერსის თასის გათამაშების შემდეგ ჩოგბურთელები დაახლოებით თვე-თვენახევრის განმავლობაში დაისვენებენ და გაისად თავიდან დაიწყება ყველაფერი.

გასული სეზონი კი ძალიან საინტერესო გამოდგა: ვნახეთ ყველაფერი, რაც მაყურებელს იზიდავს — კარგი კომბინაციები, სხვადასხვა სტილის მოთამაშეთა დაპირისპირება, რამდენიმე საათიანი ბატალიები და ნამდვილი სენსაციები.

ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, რომ წლეულს თანამედროვე ჩოგბურთში გამოიკვეთა ერთი ლიდერი, რომელიც ნებისმიერი შეჯიბრების მთავარი ფავორიტი იქნება და ეს ალბათ უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება.

წლეულს ვიხილეთ ნამდვილი სენსაციური გამოსვლა 19 წლის ესპანელი რაფაელ ნადალისა, რომელმაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. რამდენიმე ჩოგბურთელმა გაგვაოცა თავისი შედეგებით, და, რა თქმა უნდა, იყო იმედგაცრუებაც.

თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე ვისაუბროთ:

ნადალი ყველაზე უიმედო ვითარებაშიც კი თავგანწირულად ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას და იბრძვის თითოეული ბურთისთვის. ამიტომ მასთან თამაშისას მხოლოდ გარკვეული უპირატესობის შექმნა არ არის საკმარისი — მოწინააღმდეგის კარგად დაწყებული შეტევის შემდეგ ნადალი ხშირად კონტრშეტევაზე თვითონ იგებდა ქულებს.

გარდა ამისა, რაფაელი არ არის წმინდა ესპანური სკოლის წარმომადგენელი. ის თითქმის ერთნაირი სიძლიერით თამაშობს როგორც თინხნარზე, ისე მაგარსაფარზე. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ნადალი მთელი სეზონის განმავლობაში იყო წამყვან პოზიციებზე და, დანარჩენი ესპანელი ჩოგბურთელების დარად, მხოლოდ თინხნარის ტურნირების დროს არ ყოფილა ლიდერებს შორის. მართალია, მას ჯერ კიდევ უჭირს ბალახზე თამაში, მაგრამ თუ ასაკს გავითვალისწინებთ, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აქაც მიაღწევს პროგრესს.

რაც მთავარია, ესპანელმა წლეულს დაამტკიცა, რომ ფედერერთანაც შეუძლია თანაბრად ბრძოლა. ნადალმა შვეიცარიელს მოუგო საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში (თუმცა აქ ფავორიტი ესპანელი უფრო იყო, ვინაიდან შვეიცარიელი არასოდეს გამოირჩეოდა თიხნარზე კარგი თამაშით), მაგრამ უფრო საინტერესო მაგარსაფარზე ბრძოლა გამოდგა მაიამში, როცა ესპანელს ერთი გეიმი დააკლდა გამარჯვებამდე.

ნადალის მონაგარი წლეულს ასე გამოიყურება — საფრანგეთის ღია პირველობა, მასტერსის სერის ოთხი ტურნირი (მონტე კარლო, რომი, მონრეალი, მადრიდი) და ATP-ის რანგის ექვსი ტურნირის (ბარსელონა, ბასტადი, მალიორკა, აკაპულკო, პეკინი, შტუტგარტი).



მარატ საფინი

დაბოლოს, სწორედ ნადალმა ჩაატარა წლეულს ყველაზე ხანგრძლივი მატჩი — რომის მასტერსის ფინალში არგენტინელ გილერმო კორიასთან მის შეხვედრა 5 საათსა და 14 წუთს გაგრძელდა.

წლის მოულოდნელობა

ამ სეზონში მოულოდნელად რამდენიმე ჩოგბურთელი გამოირჩა კარგი თამაშით (ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი, ჩილიელი ფერნანდო გონსალესი), თუმც მთავარი მაინც რუსი ნიკოლაი დავიდენკოა. ეს ჩოგბურთელი უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც ასპარეზზე გამოჩნდა, მაგრამ ექსტრა-კლასის მოთამაშედ არასოდეს ითვლებოდა.

წლეულს რუსმა მართლაც დიდ პროგრესს მიაღწია — 7 სხვადასხვა ტურნირის ნახევარფინალში მოხვდა (ორი ძალიან ძლიერი ტურნირი იყო — საფრანგეთის ღია პირველობა და მასტერსის თასი შანხაიში). გარდა ამისა, თითქმის რეგულარულად აღწევდა მეოთხედფინალურ ეტაპს. შესაბამისად მთელი სეზონის განმავლობაში ის რეიტინგში ყოველთვის წამყვან ხუთეულში იყო.

არადა, დავიდენკოსგან, რომელიც განსაკუთრებით ფიზიკური მონაცემით არ გამოირჩევა, ასეთ პროგრესს არავინ ელოდა: რაც მთავარია, მან მარატ საფინას არყოფნაში ფაქტობრივად მარტომ გაიყვანა რუსეთის ნაკრები დევისის თასის ნახევარფინალში, სადაც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ხორვატიასთან წააგო.

წლის იმედგაცურება

წლის იმედგაცურებად ალბათ მაინც რუსი მარატ საფინი შეიძლება დასახელდეს. არა, მას აშკარად არ ჩაუგდია სეზონი, მაგრამ... უბრალოდ, მეტი იყო მოლოდინი...

მარატ საფინი 2004 წლის ბოლოს დიდებულ ფორმაში იყო — ზედიზედ მოიგო მადრიდისა და პარიზის მასტერსები, შემდეგ კი ჰიუსტონში მასტერსის თასზე მისი და როჯერ ფედერერის ნახევარფინალური მატჩი არათუ იმ ტურნირის, არამდე მთელი სეზონის მშვენებად იქცა.

ამიტომაც ამ სეზონის დაწყებისას სპეციალისტები და უბრალოდ მაყურებლებიც ხელებს იფშვნეტდნენ — წესით, სეზონის უმთავრესი ინტრიგა სწორედ ამ ორი ჩოგბურთელის დაპირისპირება უნდა გამხდარიყო, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში კი მათი შეხვედრა ულამაზესი გამოდგა. ეს იყო თამაში, რომელიც ჩოგბურთის ქრესტომათიაშია შესატანი. ამან უფრო გააღვივა ინტრიგა, მაგრამ ამის შემდეგ რუსს წესიერად აღარ უთამაშია. ეს, ალბათ, მეტწილად ტრავმის ბრალი იყო, თუმც დროსტარებასა და განცხრომასაც რომ მიეცა, ფაქტია.

საინტერესოა, საფინი შეძლებს თუ ვერა გაისად დაბრუნებას. მას ტრავმაც შეუშლის ხელს, მაგრამ უფრო აქტუალური ერთი კითხვაა — დარჩა კი მას ამისთვის საკმარისი მოტივაცია? იმედი ვიქონიოთ, რომ დარჩა, ვინაიდან მისი არყოფნით ჩოგბურთი საკმაოდ კარგავს და თანაც, ბევრი სპეციალისტის აზრით, მხოლოდ საფინს აქვს იმის მონაცემები, რომ ფედერერის უპირობო ლიდეროპას შეუშალოს ხელი.

კახა ლომაშვილი

ევროპის ჩემპიონი და პატარა ვუნდერკინდი

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

ტაიბრეიკი

ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია)	0:1, 0:1	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	(1:3)
ზვიად იზორია (საქართველო)	0,5:0,5; 0,5:0,5; 0:1; 1:0; 0:1	სერგეი ერენბურგი (ისრაელი)	(3:4)
ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო)	0:1, 0:1	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	(1:3)

ფრჩხილებში მოცემულია საერთო ანგარიში

დაძაბული გამოდგა პირველი ტური, 64 შეხვედრიდან 25-ში გადათამაშება გახდა საჭირო. აქედან სამში კი ჩვენებურები მონაწილეობდნენ და, სამწუხაროდ, ორნი გათამაშებას გამოეთიშნენ.



ბაადურ ჯობავა

დამარცხდა საქართველოს საუკეთესო მოთამაშე, 2003 წლის ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მან ორივე მატჩი 15 წლის ნორვეგიელ მაგნუს კარსენთან წააგო და გათამაშება ნაადრევად დატოვა. არადა, მათი შეხვედრა ერთ-ერთი საინტერესო იყო ჩემპიონატში და მას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც დაესწრო, თუმც...

მომდევნო ეტაპზე გავიდა ბაადურ ჯობავა, რომელმაც ორივე პარტია მოიგო. პირველ ეტაპზე ქართველი დიდოსტატი სლოვენიელ ალექსანდრ ბელიავსკის დაუპირისპირდა, თუმც ორივე შეხვედრა ყაიმით დაუსრულა და ბრძოლა ტაიბრეიკებში გაგრძელა, გადათამაშებაში კი ჩვენებური გამოცოცხლდა, ბელიავსკის ბდღვირი ააღინა და შინისკენ გაისტუმრა.

პირველ შეხვედრაში ბაადური შავი ფიგურებით გამოვიდა. მან თავიდანვე იერიშები წამოიწყო, სლოვენიელის ჯარს ტორნადოსავით გადაუარა და 48-ე სვლაზე ძვირფასი ქულა აართვა. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ჯობავას მეორე მატჩში ყაიმიც ჰყოფნიდა, თუმც ამას არ დაჰყაბულდა, მეტოქეს კვლავ მედგრად დაუხვდა და 33-ე სვლაზე მორიგი მარცხი აგემა.

ხუთი დამატებითი შეხვედრა ჩაატარა ზვიად იზორიამ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა 3:4 და მომდევნო ეტაპი მეტოქეს გადაულოცა.

ლაშა გეგეჭკორი

კარპოვს პრეზიდენტობა სურს და პროტესტს აცხადებს

პლანეტის მე-12 ჩემპიონმა, რუსმა ანატოლი კარპოვმა მომავალი წლის მაისში დაგეგმილ ფიდეს საპრეზიდენტო არჩევნებზე ეგებ თავისი კანდიდატურა წარადგინოს.



ანატოლი კარპოვი
ფიდეს პროტესტს უცხადებს

„რამდენიმე ქვეყნის ფედერაცია დამიკავშირდა და არჩევნებში მონაწილეობა შემომთავაზა, — განაცხადა კარპოვმა. — საბოლოო პასუხი ჯერ არ მითქვამს, რადგან მანამდე ბევრი საქმეა მოსაგვარებელი“.

დიდოსტატის აზრით, ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი თავის საქმეს სათანადოდ ვერ უძღვება.

„მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ძველებურად ველარ ფასობს და რამდენიმე ძლიერი ტურნირიც დაიკარგა. ფიდეში მხოლოდ დიქტატურა და ერთმართველობაა გამეფებული“, — მიაჩნია კარპოვს.

მას სურს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გამოსავლენი ნოკაუტ-სისტემა შეიცვალოს, რადგანაც ეს მოჭადრაკეთათვის მიუღებელია.

„ჭადრაკი ჩოგბურთი არ არის, თამაშის დროს რაიმე რომ შეგეშალოს და მერე გამოასწორო. აქ ერთი შეცდომა პარტიის ბედს წყვეტს“, — ამბობს მოჭადრაკე და ფიდეს მთელ შემადგენლობას პროტესტს უცხადებს.

ფიდეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი კი ოფიციალურად მხოლოდ ორმა პიროვნებამ გამოთქვა, კირსან ილუმჟინოვმა და ჰოლანდიელმა ბიზნესმენმა ბესელ კოკმა.

ლაშა გეგეჭკორი

ადამიანმა კომპიუტერთან 153-ე სვლაზე დაამთავრა

ბასკთა მთავარ ქალაქ ბილბაოში კომპიუტერებისა და მოჭადრაკეების მეორე შეხლა კვლავ ადამიანების დამარცხებით, 4:8 დასრულდა.

რუსლან პონომარიოვი deep junior-ს 153-ე სვლაზე დაუზავდა

გათამაშება პირველად შარშან გაიმართა. მაშინ მსოფლიოს სამი წამყვანი დიდოსტატი სამ საუკეთესო მოაზროვნე მანქანას ეთამაშა და დიდი ანგარიშით — 3,5:8,5 დამარცხდა.

წლეულს ადამიანთა გუნდში ფიდეს სამი ექსჩემპიონი — უკრაინელი რუსლან პონომარიოვი, უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი და რუსი ალექსანდრ ხალიფმანი — გამოდიოდა, კომპიუტერების პრესტიჟს კი გერმანული FRITZ, ამერიკული DEEP JUNIOR და გაერთიანებული საემიროების HYDRA იცავდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ წლეულსაც კომპიუტერებმა შანსი არ დაუტოვეს მოკვდავთ და დიდი უპირატესობით აჯობეს. ერთადერთი, ვინც კომპიუტერებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, პონომორიოვი იყო. უკრიანელმა დიდოსტატმა მეორე ტურში FRITZ დაამარცხა, ბოლო მეოთხეში კი DEEP JUNIOR-ს 153 სვლა ეთამაშა და საბოლოოდ ყაიმზე დაიყოლია.

ტურნირზე ყველაზე მეტი 3-3 ქულა DEEP JUNIOR-მა და HYDRA-მ მოაგროვეს. შემდეგ მოდიან FRITZ — 2 ქულა, კასიმჯანოვი — 1,5, პონომარიოვი — 1,5 და ხალიფმანი — 1.

AFP ბარსელონიდან

გახსნის სეზონი ტოიოტამ გახსნა

ფორმულა 1-ის საგაისო, რიგით 57-ე ჩემპიონატის დაწყებამდე უზარმაზარი დრო — სამ თვეზე მეტია დარჩენილი. ამდენად, გუნდები ჯერ ხეირიანად ტესტებსაც არ შესდგომიან, „ტოიოტამ“ კი უკვე წინასწარი პრეზენტაცია მოაწყო.

ეს არ იყო ამგვარი საზეიმო ვითარებისთვის ჩვეული პომპეზური ღონისძიება. ახალი, შეცვლილი ტექრეგლამენტის შესატყვისი ბოლიდის წარდგენა შედგა ბარსელონაში, სადაც ტოიოტელები სხვა გუნდებთან ერთად ჩავიდნენ თავიანთ პირველ სატესტო სესიაზე.

ასეა თუ ისე, საპრეზენტაციო სეზონი ამომავალი მზისქვეყნელი ავტოგიგანტის საპირველფორმულო საჯინიბომ გახსნა და თუ წინასწარ გაცხადებულ განრიგში ცვლილება არ მოხდება, ახალ წლამდე სხვები მხოლოდ სიახლეების გამოცდა-ვარჯიშით იქნებიან დაკავებულები.

„ტოიოტა TF106“-ის პრეზენტაცია თავიდან 14 იანვრისთვის იყო დანიშნული. დაჩქარებას გუნდის ტექნიკური დირექტორი მაიკ გესქოინი ამგვარად ხსნის:

„ჩვენ ამ მანქანაზე 2004 წლის ბოლოს დავიწყეთ მუშაობა და სადღეისო ამგვარი ადრეული პრეზენტაცია გუნდის მაღალი შესაძლებლობების დასტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა, ჩვენ შეგვიძლია, სწრაფად გადავეწყოთ და ვიაროთ იმ ტემპით, რაც აუცილებელია ფორმულა ერთის რიგებში წარმატებისთვის საბრძოლველად. ასეთმა ადრეულმა სტრატეგიამ 2005 წლის სეზონის სტარტზე წარმატება მოგვიტანა და, დარწმუნებულები ვართ მომავალ ჩემპიონატშიც ასე იქნება.“

შეგახსენებთ, საგაისო რეგლამენტით, „სამეფო რბოლების“ ბოლიდების ძრავები ათის ნაცვლად რვაცილინდრიანი და, ცხადია, ნაკლებად მძლავრები იქნება. შესაბამისად, შეიცვლება შასის კონსტრუქციაც. კერძოდ, სრულიად ახალია „ტოიოტას“ უკანა დაკიდულობა. განახლდა აგრეთვე მონოკოკი და მანქანის „ცხვირი“.

მძღოლთა ტანდემი უცვლელია: „პანასონიკ ტოიოტა რეისინგ“-ის ბოლიდებს კვლავ გააქროლებენ გერმანელი რალფ შუმახერი და იტალიელი იარნო ტრული. სათადარიგო მძღოლები ფრანგი ოლივიე პანი და ბრაზილიელი რიკარდო ზონტა არიან.

წლევანდელ ჩემპიონატში „ტოიოტამ“ საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა „რენოს“, „მაკლარენისა“ და „ფერარის“ შემდეგ.

ფორმულა ერთის 2006 წლის ჩემპიონატში წლევანდელზე ერთით მეტი — თერთმეტი მონაწილე იქნება. ახალი საჯინიბო „სუპერ აგური F1“ გახლავთ, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლების იაპონელი მეფორმულე აგური სუძუკი ჩაუდგა სათავეში. გუნდის მეპატრონეა ამომავალი მზის ქვეყნის კიდევ ერთი ავტო-ვეშაპი „ჰონდა“. ჰონდელები წლების განმავლობაში ბრიტანულ-ამერიკულ მეთამბაქოე მაგნატ BAT-თან ალიანსში იყვნენ და ერთად აკონტროლებდნენ „BAR-ჰონდას“, მაგრამ BMW-სი არ იყოს, მათაც დამოუკიდებლად გადაწყვიტეს „სამეფო რბოლებში“ ჩართვა.

ერთი სიტყვით, მეფორმულეთა 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატში იჯირითებენ „რენო“, „მაკლარენ-მერსედესი“, „სკუდერია ფერარი“, „ტოიოტა“, „უილიამსი“, BAR, „რედ ბული“, „BMW ზაუბერი“ (ყოფილი „ზაუბერი“), „მიდლენდ MF1 (ყოფილი „ჯორდანი“), „სკუდერია ტორო როსო“ (ყოფილი „მინარდი“) და „სუპერ აგური F1“.

შეგახსენებთ, 2006 წლის 19-ეტაპიანი სეზონი 12 მარტს ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება.

გია ახალაძე

საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან მორაგბეს ირაკლი ხუციშვილს ვაჟის, კლუბ „ჯიქების“ მორაგბის ბექა ხუციშვილის გარდაცვალების გამო

AFP რომიდან

რომიდან წამოიღო

ქვემძიმე წონის დიდი ქამარი WBO-ს ორგანიზაციის ვერსიით რომში გათამაშდა, „პალაზეტო დელო სპორტში“. იქაურივე ვინჩენცო კანტატორე ბევრს ეცადა, მაგრამ ქულებით მაინც წააგო ბრიტ ჯონი ნელსონთან.

AFP ლაჰორიდან

მესამეს პირველი დღე საბოლოო

ლაჰორში გახურებულა პაკისტან-ინგლისის მესამე და საბოლოო ტესტი. პირველ დღეს ტყორნცის წილისყრა მოუგია ინგლისელთა კაპიტან მაიკლ ვანს, მასპინძელთა კაპიტანი რანა ნავედ-ულ-ჰასანი კი იმედგაცრუებულია. პაკისტანი იგებს სერიას 1-0.

პარადორნ-ბერი

ტაილანდელთა განთქმული ჩოგბურთელი პარადორნ შრიჩაპანი ერთი კვირით ბუდისტურ მონასტერში დაყუდებულა. სპორტსმენი აპირებს, უფრო კარგად გაერკვეს თავის რელიგიაში.



AFP ბანგკოკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოპერია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნაზელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგეშაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge